ეგრ

№ 7

შ ი ნ ა ა რ ს ი: აუცილებელი გზა—**შინაურისა**; მიწა სანერგეზია, ბიესა 2 მოქ.—**გიორგი ფოცხოველისა**; შინაური მიმოხილვა; უცხური გაგონება—**სვ. ყიფიანისა**; ინგილოთა ეთნო-ცხოვრება—**ზ. ედილისა**; ჩეხია—**გ. გვაზავასი**; მთა—**ალბანელისა**.

კვირა, 21 მარტი — საპოლიტიკო, საშეც. და საალიტ. ჟურნალი — 1910 წ.

აუცილებელი გზა.

—:—

ამას წინად ჩვენს გაზეთში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა, რომელშიაც ის მთავარი აზრი იყო გატარებული, რომ ჩვენთვის, ქართველებისთვის, განსაკუთრებით ახლანდელ ჩვენს მდგომარეობაში, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს პრაქტიკულ ცხოვრებისათვის მომზადება ჩვენის ახალთაობისა. ჩემის აზრით, ეს ისეთი საყურადღებო და ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანი საგანია, რომ რაც უნდა ბევრი ითქვას და დაიწეროს მასზე, მაინც ზედმეტად და მოჭარბებულად ვერ ჩაითვლება. ამ საკითხის სიმწვავეს სავსებით გრძნობს დღეს თვით ჩვენი ახალგაზდობა, რომელსაც ასე თუ ისე სწავლა დაუსრულებია, ხოლო ცხოვრებაში კი ფეხი ვერ მოუკიდნია და სამოქმედო სარბიელი ვერ გაუჩენია. თვითონ ახალგაზდობა, მგონია, საკუთარის გამოცდილებით რწმუნდება, რომ იგი თავიდანვე ყალბ გზაზე დაუყენებიათ და მისი ყურადღება და შრომა-მეცადინეობა იქითკენ არ მიუმართავთ, საითკენაც უნდა ყოფილიყო მიმართული.

ჩვენ ყველანი ვჩივით, რომ უმოქმედო და ფუჭი ახალგაზრდობა გვყავს, და ეს ჩივილი, თუ მარტოოდენ ფაქტს მივიღებთ მხედველობაში, სავსებით საფუძვლიანი და სამართლიანია. მაგრამ, მეორე მხრით, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს უმოქმედობა მარტო ახალგაზდობას ვერ დაეკისრება ბრალდებად,—მარტო მას არ ეკუთვნის ამაში პასუხისმგებლობა. პირიქით, რომ ძალიან გამოვქექოთ და ფესვები გამოვძებნოთ, ვინ იცის, იქნებ აღმოჩნდეს, რომ ბრალი სწორედ ჩვენ—მშობლებს—მიგვიძღვის, და არა ახალგაზრდობას. სწორედ ჩვენ ვზრდით მათ „გარიყულად“, ცხოვრებასა და რეალურ ნიადაგს დაშორებულად, ხოლო მერე ვკვირვობთ, რომ მათ „ფხა“ ვერ გამოუჩენიათ და ნაყოფი ვერ მოუტანიათ!

უმოქმედობა!.. დიაღ, მართალია: ჩვენი ახალგაზდობა უმოქმედოა, მაგრამ ერთი მიბრძანეთ: უნარიც რომ ჰქონდეს ჩვენში ახალგაზდა კაცს, აბა რა ფხა უნდა გამოიჩინოს, თუ ჩვენს ვითარებაში იგი ვერავითარ ნიადაგს ვერ პოულობს თავის ძალღონის გამოსაყენებლად?

ჩვენ ყველანი ჩვენს შვილებს სამსახურისათვის, მოხელეობისათვის ვამზადებთ და ამავე დროს სრულებით არ ვფიქრობთ, გვაქვს თუ არა საშუალება, შემდეგში მათ რამე საქმე მივუჩინოთ და მათი ცოდნა და უნარი გამოვიყენოთ. საუბედუროდ, ამაზე ზრუნვა სულ გვავიწყდება,—ჩვენი ერთად ერთი ფიქრი ის არის, რომ ჩვენმა შვილებმა „სწავლა დაასრულონ“, ხოლო რა მოუვა მათ შემდეგში, გამოადგებათ ან ჩვენ გამოგვადგება თუ არა ეს მათი „სწავლა“, ამაზე თავს არავინ იტეხს; ეს კითხვა მარტოოდენ ფიქრის ღირსადაც კი არავის მიაჩნია. და ჩვენი მთავარი შეცდომაც სწორედ ეს არის. აბა რას იტყოდით, მაგალითად, ნორვეგიელებზე, ისინი რომ ათასობით აგზავნიდნენ თავიანთ შვილებს იტალიაში ყაჭის მოვლის შესასწავლად? უეჭველია, მათ ამ შემთხვევაში ყველა გიჟებად ჩასთვლიდა, რადგან ნორვეგიაში მეაბრეშუმეობა შეუძლებელია. ჩვენ კი სწორედ მსგავსი საქმე მოგვდის: ახალგაზდობას ისეთი ხელობისა და საქმისთვის ვამზადებთ, რომელიც ჩვენ ხელთ არ გვაქვს და, მაშასადამე, ამისთვის არც კაცები გვესაჭიროება.

შედეგი ამისა დღესაც ნათლად ჩანს, ხოლო შემდეგში, უეჭველია, უფრო დიდი და მწვავე შეიქმნება. ჩვენი ახალგაზდობა მარტოოდენ სამსახურისათვის არის მომზადებული, სამსახური კი მას უნდა მისცეს ან სახელმწიფომ, ან და საზოგადოებრივმა ან კერძო სამეურნეო ორგანიზაციამ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველმა ახალგაზდამ ან სახელწიფო, ან კერძო დაწესებულებაში უნდა იშოვოს სამსახური.

და, აი, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ არც ერთი გაგვაჩნია და არც მეორე, ქართველი ახალგაზდო-

ბაც ფუჭად დაძრწის და საუკეთესო დროს ძალაუნებურად „ცუდაობაში“ ატარებს. დღეს ისეთი დრო დადგა, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში ქართველს უბრალო გადამწერლის ადგილსაც კი აღარ აძლევენ. ყველა ჩვენგანმა იცის არა ერთი და ორი, არამედ ათი და მეტი მაგალითი, რომ ქართველი უჯამაგირო კანდიდატის ადგილსაც კი ვერ პოულობს ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებებში. კანდიდატობა იმას ნიშნავს, რომ 3—5 წელიწადს მუქთად უნდა ემსახუროს დაწესებულებას იმ იმედით, რომ შემდეგში—ისიც „სადმე“ და არა თავის სამშობლოში—ხუთთუმნიანი «შტატის სამსახური» მიიღოს. ამიტომაც ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი ინტელიგენცია თავის სამშობლოს თან და თან შორდება ძალაუნებურად,—იძულებული ხდება ლუკმა პურისათვის შორეულ გუბერნიებში გადაესახლოს და იქ სავსებით გადარჯულდეს შთამომავლობითურთ. თუ ანგარიშით ვიხელმძღვანელებთ.—გამოდის, რომ საზოგადო ფული და კერძო ჭაპან-წყვეტა მშობლებისა, ე. ი. ბოლოს და ბოლოს ისევ ხალხის საეკონომიო შემოქმედების ნაყოფი იმიტომ იხარჯება, რომ რამდენიმე ზედმეტი მოხელე მოვუმზადოთ შორეულ გუბერნიების სახელმწიფო დაწესებულებათ, და ისიც ისეთი სასყიდლის გულისათვის, რომელიც დახარჯულ თავნის სარგებლადაც კი არ კმარა, რომ იგი აქ მაინც ეძლეოდეს ჩვენს თანამემამულეს; იქ კი, შორეულ მხარეში, ჩვენთვის ესეც ანგარიშში ჩასაგდები არაა, რადგან იმ მცირე სასყიდლიდანაც ჩვენს ხალხსა და ქვეყანას არა ეცხება რა.

მაგრამ შორეულ გუბერნიებშიაც ადგილის შოვნა მარტოოდენ „რჩეულთა“ და „ბედიანთა“ ხვედრია. უმრავლესობა ქართველ ახალგაზდობისა ამას ვერ ახერხებს, სწავლის დასრულების შემდეგ ბრუნდება სამშობლოში და აქ მთელი წლობით განიცდის უსაქმო ხალხის აუტანელ მდგომარეობას. ეს მდგომარეობა ასე მწვავე და ძნელად ასატანი არ იქნებოდა, ჩვენში რომ განვითარებული იყოს სამეურნეო და საზოგადოებრივი კულტურა. მაშინ შესაძლებელი გახდებოდა, ახალგაზდობას საქმე კერძო დაწესებულებებში ეშოვნა და თავის ძალღონისთვის ასე თუ ისე ნაყოფი გამოეღებინებია. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენი ქვეყანა ამ მხრით ძალიან ჩამორჩენილია, „უმწვერვალესობამდის კაპიტალიზმის განვითარება“ ჩვენში მხოლოდ პროკლამაციებში სწერია უბადრუკ ხალხის „გასათვითცნობიერებლად“, ხოლო ის მცირე წარმატება, რაც მოიპოვება, სხვა ხალხების ხელშია და ქართველობას იქ წილი არა აქვს. ამ გარემოებას კი ისეთი პრაქტიკული შედეგები ახლავს, რაც ქართველ ახალგაზდობას ნიადაგს აცლის და სამოქმედო ასპარეზს უხშობს.

ვისაც ეს ჯერ კიდევ არ გაუგია ან ვერ გაუგია, იმას ვურჩევთ დაიაროს კერძო დაწესებულებები ტფილისში და დასთვალოს იქ ქართველები. ეჭვი არ არის, დარწმუნდება, თუ საზოგადოებამ ... ბერეულ ... საკუთარ ანგარიშს გარდა, ეროვნული ანგარიშიანობაც სცოდნია. ყველა ეს დაწესებულებები სავსეა იმ ხალხის შვილებით, ვინც თვით დაწესებულებათა პატრონები და გამგენი არიან.

ეს არც გასაკვირია, — ყოველ შემთხვევაში არ არის გასაკვირი ისეთ მკითხველისათვის, რომელიც ჩვენს ცხოვრებას ცოტათ მაინც დაკვირვებულია. ადვილი გასაგებია, რომ კერძო საქმეების მართვა-გამგეობაშიაც საქმის მმართველ-პატრონი ისეთ ხალხს იკრებს თავის გარშემო, რომელთანაც იგი სულიერად უფრო დაკავშირებულია.

და რაც დრო გადის, მით უფრო ფეხს იკიდებს და ძლიერდება ჩვენში „თავისიანობის“ შემეცნება სხვა და სხვა ერთა შორის, რაც განკერძოვებასა და განცალკევებას იწვევს შედეგად. ამიტომაც „თავისიანობის“ პრინციპი ისეთ დაწესებულებებშიაც გადადის, სადაც მას თითქოს სრულებით არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ქალაქის თვითმართველობა, მაგალითად, წესით არც ერთ ერს არ ეკუთვნის, — იგი თვითმართველობაა არა სომხებისა ან ქართველების, არამედ ტფილისის ქალაქის მცხოვრებთა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, აბა მიბრძანდით იქ და დასთვალეთ მოხელეთა შორის სხვა და სხვა ხალხის წარმომადგენელნი. ყველა ცხადად დარწმუნდება, თუ ჩვენში კიდევ მოიპოვება ისეთი მძინარა ადამიანი, რომელმაც ეს დღემდის არ იცოდა, რომ იქიდან ქართველი თითქმის სრულიად გამოდევნილი არის.

ეს „ეროვნული არჩევა“ ისეთ სამუშაოს მიცემის დროსაც კი სწარმოებს, რომელიც თავის თავად მაინც და მაიცა სახარბიელო არ არის და, მაშასადამე, ქალაქის თვითმართველობის გამგენი ამას მაინც უფრო ადვილად უნდა „სთმობდნენ“. ნამდვილად კი „თავისიანობის“ პრინციპი აქაც მტკიცედ არის გატარებული.

ამ ორი წლის წინად ტფილისის ქალაქის თვითმართველობამ გამოსცა ცალკე წიგნად სპეციალური „მასალა“, რომელშიაც მოთავსებულია ცნობები ქალაქის მუშების შესახებ: ვინ სად მუშაობდა, რა ჯამაგირი ეძლეოდა, რომელი ეროვნებისა იყო, საიდან მოსული და სხვ. და, აი, ამ „მასალიდან“ ჩანს, რომ 348 მუშიდან სომეხი ყოფილა 193 (56%), ქართველი 8i (23%) და რუსი 74 (2i%). ამ მუშებისათვის მინდობილ სამუშაო საქმეებში არის ერთი დარგი, სადაც ქართველებს მეტოქე არ ჰყავთ, —ეს არის ქალაქის ბაღებისა და მცენარეების მოვლა, რისთვისაც 18 ქართველი ყოფილა დაქირავებული. სამუშაოს ეს დარგი, ვითარცა კონკურენციის ვარეშე მყოფი, ამ შემთხვევაში მხედველობაში მისაღები არ არის, რადგან აქ ქართველების

419

არჩევანი იძულებითია და არა ნებაყოფლობითი. თუ ამას არ ვიანგარიშებთ, მაშინ გამოვა, რომ 59% ქალაქის მუშებისა ყოფილან სომხები. 21%—რუსი და 20%—ქართველი. ყველა ამ მუშებზე წლიურად იხარჯებოდა 98 ათასი მანეთი. ამ ფულიდან რუს მუშებს რგებია წლიურად 20 ათასი მან., სომხებს 59 ათასი მან. და ქართველებს—19 ათასი მან.

მჭერმეტყველი ციფრებია. ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდძალი ნაწილი სომეხ მუშებისა—ეს ჩანს იმ „მასალიდან"—ოსმალეთის ქვეშევრდომები, უცხო სახელმწიფოდან მოსულნი ყოფილან. გარეშე ადამიანმა რომ ის „მასალა" წაიკითხოს,—იფიქრებს: ალბად ადგილობრივ მუშები ვერ უშოვნიათ, რომ ოსმალეთიდან გამოუწერიათო. ნამდვილად კი საქმე სულ სხვანაირად არის,—აუარებელი ადგილობრივი მცხოვრები შიმშილით სულს ჰლაფავს და დღე და ღამ სამუშაოს ეძებს, ხოლო თუ სამუშაო ოსმალეთიდან მოსულმა იშოვა და მან კი ვერა,—ამის მიზეზი და საფუძველი პოლიტიკურ ეკონომიის კანონთა გარეშე არის საძებნელი..

და ასეთ გარემოებაში აბა რა გასაკვირია, რომ ქართველი ახალგაზდობა არ იყოს მაინცა და მაინც საქმიანი და ბარაქიანი. საქმიანობას თვით საქმის წყალობით ეჩვევა ადამიანი. შრომას შეჩვეულმა ადამიანმაც რომ რამდენსამე თვეს „იუქმოს" და არა გააკეთოს რა,—გარჯას ისე გადაეჩვევა, რომ მერე შრომის უღელში ხელახლა შებმა მეტის მეტად გაუჭირდება. მით უფრო დიდი გავლენა აქვს უსაქმობას ჯერ კიდევ პიროვნულად შეუმუშავებულ ახალგაზდაკაცზე. თუ მან ერთ-ორ წელიწადს ადგილის ძებნაში ფუჭად იხეტიალა, მერე, რომ კიდეც რამ იშოვნოს, თვის საქმიანობით ველარ გაგვაკვირვებს და ბარაქას ვერ შეგვმატებს.

ასეთი მდგომარეობა თავისთავადაც საკმაოდ სამწუხარო და სავალალოა. მაგრამ მას თან ახლავს ერთი გარემობა, რომელიც ჩვენთვის პირდაპირ ეროვნული საფრთხეა. ეს საგანი იმდენად მძიმე, სასირცხვო და, მაშასადამე, ძნელად გამოსათქმელია, რომ არ ვიცით, როგორ მოვახერხოთ მისი წარმოთქმა. მაგრამ ჩვენ ვალდებულნი ვართ, რახან ამ საგანზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი, ეს გარემოებაც არ დავივიწყოთ და მოსალოდნელი სირცხვილი წინდაწინვე აღვნიშნოთ და თავიდან ავიცდინოთ.

ჩვენ, ქართველებს, ისე ცოტა დაწესებულებები გვაქვს, რომ ისინი არა თუ მთელი ქართველ ახალგაზდობის მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებენ, არამედ მარტო გორიდან მოსულ საქმის მძებნელთაც კი ვერ მისცემენ საკმაო სამუშაოს და ვერ გაუჩენენ მუდმივ სამსახურს. და რახან ეს დაწესებულებები უფრო ტფილისშია, ვიდრე სხვაგან სადმე, ამიტომაც აუარებელი მთხოვნელი და სამუშაოს მძებნელი აწყდება საქართველოს ყველა კუთხეებიდან. ჩნდება ხაშინელი კონკურენცია ჩვენიანებშივე, რომელიც ისეს ტებს ზნეობრივს სიფაქიზეს და ახდენს დემორალიზაციას. რახან შიმშილი ძნელი ასატანია, ამიტომ ერთი მეორეს აღარ ზოგავს, ხანდახან არ ერიდება ისეთ საშუალებასაც, რომელიც ადამიანობის დამამცირებელია, ოღონდ თავისი გაიტანოს და მარტოოდენ ხმელი პურის მომცემი ადგილი მეორეს ხელიდან გამოსტაცოს. და გულახდილად ვამბობ: მე ვშიშობ ამ ნიადაგზე არ წამოსდგეს ჩვენი შემარცხვენელი შუღლი, არ იჩინოს თავი „იმერელ-ამერელის" საკითხმა, რომელიც ციხეს შიგნიდან გაგვიტეხს და ჩვენი ხალხოსნურ დაცემის დასაწყისი იქნება. ამ ჩემს შიშს ნურავინ ჩასთვლის მარტოოდენ მოჩვენებულად: პურის გულისთვის ხშირად ღვიძლი ძმები არ ინდობენ ერთმანეთს; მით უფრო არის მოსალოდნელი, ადგილებისა და სამსახურის მოცილეებმა ბოლოს და ბოლოს პროვინციალურ „შენ-ჩემიანობის" არგუმენტსაც მიმართონ და თავიანთი პაწაწა კუჭის ბრძოლა ქართლ-კახეთისა და იმერეთის ბრძოლად გამოაცხადონ და მთელი ერი სირცხვილის კარამდის მოგვიყვანონ.

ყველაფერი ეს ძნელია სათქმელად. ვინ იცის, იქნებ ეს არც კი უნდა მეთქვა. მაგრამ ვგრძნობ, რომ dixi et salvavi animam meam*).

ერთის სიტყვით, რა მხრითაც უნდა შევხედოთ ახლანდელ ჩვენს მიმართულებას სწავლა-განათლების საქმეში, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ აუცილებლად საჭირო არის ამ მიმართულების შეცვლა და დამოუკიდებელ სამეურნეო მოქმედებისათვის მომზადება ჩვენი ახალგაზდობისა. ამით ჩვენ შევამცირებთ განათლებულ პროლეტართა რიცხვს და შესაფერ ძალას შევქმნით ჩვენი სამეურნეო წარმატებისათვის.

შინაური.

მიწა საქონელია?!

დრამა 2 მოქმედებად.

—:—

მომქმედნი პირნი:

თავ. რევაზი—მემამულე 40 წლისა,
კნეინა მაკინე—მისი ცოლი 35 წ. ევროპიულად ჩაცმული,
თავ. კოტე სტუდენტი 21 წლისა ძმისწული რევაზისა,
მიხა—აგენტი 30 წლ.,
3 გლეხი,
ჩინო—გლეხი 60 წლ.,
მაგდანა—გლეხი კაცის ცოლი 50 წ.,
ბოქაული—38 წ.,
5 დარაჯი,
მიხა—ახალგაზდა გლეხი 25 წ.,
ქალები, გლეხები, ბავშვები.

*) ვთქვი და შევიმსუბუქე სული ჩემი.

მოქმედება 1.

სცენა წარმოადგენს ოთახს წარსულ სიმდიდრის ნაშთით, რევაზის სახლში. კედელთან სდგას ტახტი, მაგიდა და ზედ სანათი, რამდენიმე სკამი, დაძველებული 2 სავარძელი, სარკე, ბუხარი, ზედ აწყვია სურათები. მუთაქებზედ წამოგორებულია რევაზი, ჩაფიქრებულია.

გამოსვლა I.

რევაზი. (წამოვარდება და გაჯავრებული დადის) დასწყევლოს დმერთმა ეს ფული, რატომ ბევრი არა მაქვს!.. ეხ, რომ მქონოდა, განა მაშინ აქ სოფელში დავრჩებოდი?! გავუტევდი ჯერ ქალაქში და მერე საზღვარგარედ!.. გავხარებდი ჩემს თავს და ჩემს ჭიასაც!.. მამაბაბიდან ჩვეული ვარ კაი ცხოვრებას, და რომ ეხლა არ მაქვს, ბოდმა ყელში მაწვება!.. არა, ერთი ჭკითხეთ ჩემს წინაპართ, რას ფიქრობდნენ, როცა მამულებს აგირავებდნენ, განა ჩვენ კი არ გვინდოდა, რომ არ დაგვიტოვეს დასაგირავებელი? ხომ ჩვენც გვინდა ბრწყინვალედ ცხოვრება?! რად მინდა ცარიელი თავადობა, თუ კი ჯიბეში თაგვები ინავარდებენ!.. ეს ოხერი გადაგირავებაც ადარ შეიძლება!.. მთელი ჩემი მამული თითქმის სამჯერ არის გადაგირავებული. ეიდვითაც არავინ ეიდულობს!.. ოხ, ნეტავ გაიეიდებოდეს?!. ფული კი არავის შერჩა, ან ვინ იეიდის ამ დროს? გლეხები დალას არ იძლევიან, გადასახადები გამრავლეს, მოსავალიც ადარ მოდის კარგი, გზებიც არ გავქვავია რიგიანი, რომ მოსავალი გავასადოთ!.. აქ კი ფასს არ იძლევიან, ოხრად ვერით, როცა ფული გეჭირია!.. მეტადრე, თუ ბანკის ვადაც ახლოვდება... და ეს ჩარჩებიც მაშინ დაძრწიან ხოლმე... სგლეხო ბანკიც ადარ ეიდულობს, გლეხებს არ შეუძლიანთ, ან სად აქვავიათ ფული, რომ ერთბაშად მოგვცენ?! ვერ მომიფიქრებია, რა ვქნა?!.. ფული მინდა... ფული... და არ ვიცი, სად ეიშოგნო!.. (დადის აღელვებული, შემოდის მიხა)

გამოსვლა II.

მიხა. კნიაზ რევაზს ვახლავართ!.. როგორ გიეითხოთ?! დღეს გუნებაზე არ ბრძანდებით, როგორც გატეობთ. (ქუდს სკამზედ დასდებს და მიუახლოვდება, რევაზი ხელს აროთმევს)

რევაზი. სწორედ, შენ გაიგე, გუნებაზე არა ვარ!.. ერთი მითხარი, ან როგორ ვიეო გუნებაზე, როცა ხედავ, რომ მამული ხელიდგან მიგდის, და ხახა გამომშრალი დარჩები!.. ფული მინდა და ვერსად მიშოგნია!.. მეიდვეიც არსად სჩანს!.. ამ მდგომარეობაში განა გუნება კარგი ექნება ადამიანს?!

მიხა. ოჭ!.. მართალი ხარ, კნიაზ!.. ხომ მოგეხსენებათ, რომ ფული ჩვენს დროში ძნელი საშოვნელია!.. ეს ოხერი კი რა კარგია! თუ გაქვს იგი, ქვეყანაც შენია და კნიაზობაც მაშინ უხდება, მეტადრე კნეინებს!.. მაშინადვე ეტეობათ ფულიანობა! დმერთმანი მეც კი მომწონს წეული ფული!.. (დაჯდება ფეხს ფეხზედ გადასდებს) ეხ,.. მქონდეს, მაშინ ნახავდით ჩემს ცხოვრებას!.. კაი სახლებში მდიდრულად მორთულს, მოსამსახურეებით ვიცხოვრებდი, ეტლიდან მთელი დღე არ ჩამოვხტებოდი; თეატრებს, კლუბებს, ბალებს ვესტუმრებოდი ეოველ დღე, ლამაზ ქალებსაც არ მოვიმორებდი გვერდით, იგორავებდა მიხა ბედნიერებაში! ეხ... კარგია, კარგია. მე და ჩემმა დმერთმა, ეს ფული!

რევაზი. გეეოფა, მიხა, მადას ნუ მიდვიძებ, ისედაც არ ვიცი სიბრაზისაგან რა ვქნა!..

მიხა. იცი, რა გითხრათ, კნიაზ რევაზ?! გინდათ მამული გაგიეიდოთ?! გიშოვნით კაი მეიდველს, ფულიც ნადდი ექნება?! თუ მეც არ დამივწეებთ?!.

რევაზი. ბიჭო, თუ კი მაგნაირ სიკეთეს მიზამ, რატომ არ მინდა!.. შენც დაგაჯილდოვებ!.. განა შეგიძლიან?!..

მიხა. რატომ, თუ მივინდომე. სამ დღეში მოგიხერხებ! (იქით) ეს კაი ლუკმა ჩავიგდე, კაი დროს მოვედი, აქედანაც მექნება ჯილდო და იქიდანაც, მშვენიერ დროს მივჭეე ხელი აგენტობას! მაშ შევუდგები საქმეს, მანამ თევზი ფართხალებს ბადეში, არ გამექცეს!..

რევაზი. (ჩაფიქრდება) ძალიან კარგი, აბა მოიეანე მეიდველები და მოგურიგდეთ; შენ შენსას წაიღებ და მე ჩემსას!.. ხომ კარგი!? მაშ მოიტა ხელი!.. ხომ არ მატეუებ?!.

მიხა. (გაუწვდის ხელს და აროთმევს) აბა, მოტეუება რა საკადრისია!..

გამოსვლა III.

კნ. მაკინე. (შემოდის გრეხით, ამაყად თავს უკრავს მიხას) რევაზ, შენთან გლეხები არიან, მოლაპარაკება უნდათ მამულების თაობაზე, მგონი ეიდვა უნდათ!

რევაზი. ვინ გლეხები!?

მიხა. აბა ვინ?!

კნ. მაკინე. ჩვენი სოფლის გლეხები!

მიხა. (იქით) უჭ მომეშვა, მე კი მეგონა, რომ ხოდოკები მოსულან! ჯერ არა მითქვამს რა და ისინიც ჯერ სოფელში არ შემოსულან, მე გავასწარი მათ, რომ აქაც დავითბო ხელები, რად შამეშინდა?! (კნეინას) აქაურები?! ოჭ!..

რევაზი. ავადმეოფი ავადმეოფს მიადგა?! აბა ერთი ეს მითხარი, მაკინე, რომ მაგათ ეიდვა არ შეუძლიანთ და ტეუილა უბრალოდ დროს მაკარგვინებენ!..

მიხა. (იქით) მერე რა ოქროს დროს!..

რევაზი. მამულის ეიდვა უნდათ?! აი ეგ არამზადები! დალის მოტეემა არ შეუძლიათო და მამულის ეიდვას კი აბირებენ?! აკი გუშინაც უთხარი, რომ მათი ბირობები სულელურია!.. არა, ერთი, მიხა, გეთაყვა, დაუგდე მათ ყური, დაუძახე, დმერთმანი, გულიანად გაიცინებ! (კნეინას) მაშ კარგი, მომგვარე აქ! (მაკინე გადის)

მიხა. განა არ ვიცი, კნიაზო!.. რას იტეუვის ჩვენი სულელი ბრიყვი გლეხი!.. მათ ჯერ უნდოდათ ძალით წაყლოთ სხვისი მამულები, და როცა ცხვირში ამოჭერეს, მაშინ კი იგრძნეს, რომ ბატონი კიდევ მძლავრი ეოფილა!.. და დაფაცურდნენ, სცდილობენ მამულების შეძენას, მეტადრე მაშინ უფრო, როცა სგლეხო ბანკი მტარვალად დაუნიშნეს, მაგრამ მაინც ვერ მოახერხებენ! მეიდველი ეხლა ბევრი გამოჩნდა!.. მოიცადე, კნიაზო, ისეთ მდი-

42 ეროვნული ბიბლიოთეკა

დარ ხალხს მოგირეკ, რომ გაგიკვირდება, კონკურენციას გაგიმართავ!..

რევაზი. შენ ბიჩს შაქარი, ვნახოთ!..

მიხა. მერწმუნე, კნიაზ რევაზ, მე მოგიხერხებ!..

გამოსვლა IV.

გლეხები. ჩვენს ბატონს ვახლავართ! (თავს დაუკრავენ)

რევაზი. (ამაყად უკრავს თავს) რისთვის მოსულხართ, რა გინდათ? (კნეინა ჯდება) გუშინ ხომ გაიგეთ ჩემი ბასუხი!?

ჩინო. კიდევ მოვედით, ბატონო, გთხოვთ, გვიშველეთ რამე!.. მიწა გვჭირია ჩვენა, მოგვიმართეთ ხელი!.. თქვენი მამული ჩვენ მოგვეიღეთ, ნუ დაგვდუბავთ!.. უცბად ფული მოტემა არ შეგვიძლიან და ტოტ-ტოტას კი მოგართმევთ, მანამ არ გადაგიხდით!.. სწეალი ხალხი ვართ... დღე-დამ ვმუშაობთ, ვიტანჯებით, ვშრომობთ და მაინც ვერ ავუდიგართ ჩვენს ოჯახებს, გადასახადებს, ამ ბოლო ხნებში ხომ სულ მთლად ტუანეც გაგვაძვრეს!.. აბა საიდგან მოგართმევთ სრულად ფულს?!.

რევაზი. თქვე ბრიყვებო, თუ ფული არა გაქვთ, მაშ რისთვის მოსულხართ?

ჩინო. სოფელმა გამოგვგზავნა: წადითო, ერთხელ კიდევ შეცადეთო, იქნებ ბატონმა დაგვითმოს ჩვენს ბიროობებზეო, იმ დღეს რომ მოგახსენეთ!

რევაზი. საკვირველი რამ ხალხი ხართ!.. მე აქ ფული მჭირია, ბანკის ვალი კისერზე მაწევს, ჩარჩები კარზე მადგანან, თქვენ ღალს რიგზე და დროზე არ იძლევით, მამულს გროშად გადამიგდებენ და ცარიელზე დამსვამენ, მერე, მე რით ვიცხოვრო?! თქვენ რადაც გროშების მოტემა გსურთ და ისიც ტოტ-ტოტობით, მითხარით ერთი, როგორ აუვიდე ამოდენა ვაი-ვაგლახს?!

გამოსვლა V.

(შემოდის კოტე, მაკინეს ხელზე ჰკოცნის, რევაზს და მიხას ხელს აართმევს, გლეხებს თავს უკრავს, დგება და ყურს უგდებს)

ჩინო. ბატონო, - აკი მოგახსენეთ, ბანკის ვალს ჩვენ გადვიხდით და თქვენ მოგართმევთ საზრდოსა, მანამ დადებულ ფასს გადვიხდიდეთ!..

რევაზი. ხომ გითხარით, რომ ეს სისულელეა, ეგრე ვიდვა არ შეიძლება, და მეც ხელს არ მაძლევს!.. და ამაზე ნუღარ შედაბარაკებით!..

II **გლეხი.** ბატონო ჩვენო, მაშ კიდევ ერთს სიტყვას მოგახსენებთ. ფული ხომ ჯიბეში დიდხანს არ დადგება, მალე წაგვავთ ხელიდგან და მერე რით-და იცხოვრებთ?! გასაყიდიც ადარა გექნებათ რა!... რაც ბევრი ფული გაქვს, იმდენს მეტს ხარჯავ, მაგალითები ბლომაა, მამულს ჭყიდიან და ფულსაც მალე ხარჯავენ, მერე ცარიელზე რჩებიან! და ამით ჩვენც ვიჩაგრებით, სხვები მოდიან და სახლდებიან გაყიდულ მამულზე! რომ ეს ადარ განმეორდეს, მოგახსენებთ ჩემს აზრსაც, თუ მოიწონებთ! მოდით, ბატონო, ძმურად ვიცხოვროთ, გამოგვიწოდეთ ხელი!..

კნ. მაკინე. რა თავხედობა არის!..

II **გლეხი.** ვფიცავ აი ამ ჩვენს მარჯვენას, ამით სტოტხლობით თქვენ სუფეველა, ეს გაძლევთ-თქვენ-სახლდოსა, მოგვეცით თქვენი მამული, ჩვენ დაგვითმეთ და ჩვენ გადვიხდით ბანკის ვალსა და თქვენც გაცხოვრებთ, სიკვდილამდინ არას დაგაკლებთ საცხოვრებელსა; ესრე ჩვენ ვიქნებით ბედნიერნი და მადლს მოისახამთ მშრომელი ხალხისას და თქვენც უზრუნველ-ყოფილი იქნებით!.. სხვაზე ნუ გაჭვიდით, თორემ ჩვენ აგვბარგავენ აქედან, და სად წავიდეთ?!.. თუ თქვენ არ შეიბრალებთ, ჩვენო თავადნო, თქვენ მამულის შვილებს, მაშ ვიდამ უნდა გვიბატრონოს?!..

რევაზი. ხა, ხა, ხა, რა სასაცილონი ხართ, თქვე ბრიყვებო! ჩემს საკუთრებაში თქვენ მოწყალებას მბირდებით? ხედავ, მიხა, სადამდინ მივიდა მათი თავ-გასულობა?! გასწით, დაიკარგეთ აქედან, თორემ გაჩვენებთ სეირსა!.. გულ-შემატკივრებიც ადმოჩნდნენ!.. კარგად ადგებთ ხახასა სხვის სიმდიდრეზე!..

გლეხები. ბატონო, ნუ გვრეკავთ!

ჩინო. კარგი აზრია, დაგვეთანხმეთ, ხელწერილს დავსდებთ, რომ თქვენ გაცხოვროთ, რაგორც შეშვენის ადამიანსა, ლოცვა-კურთხევით მოგისხენიებთ მუდამ ჟამსა! გეყოფრებით, დაგვთანხმდით!..

რევაზი. კარედ გაეთრიეთ მეთქი, ჩქარა მოიშორდით! (დადის აღელვებული)

კნ. მაკინე. (მიხას) კარგია თქვენმა მზემ ასეთი თავხედობა, მამული გადავცეთ და მათ უეუროთ: რაცა ინებებენ, მაშინ მოგვიგდონ, რაც მათი ნება იქნება! (რევაზს) აბა, რევაზ, რას ელაპარაკები, გაჭვარე გარეთ!

მიხა. რას იზამთ, ბნეინა, დროა, დროა მგისთანა, კიდევ კარგი, ტოტა სთქვეს!..

რევაზი. მოიშორდით, გაეთრიეთ (გლეხები თავდაღუნულნი გადიან)

ჩინო. დავიდუბეთ, სხვას მიჭვიდის, მეიდვეელებიც სოფელს მოადგნენ, ეჭ რას ვიზამთ! (გადის)

მიხა. კაი ბირობებია, დმერთმანი: მამული მიეცე, ე. ი. ვაჩუქო, გადავცე მათ, და იმას უცადო, რადის ინებებს და ლუკმას მოგიგდებს. ამას მხოლოდ ჩვენი ტუტუცი გლეხი იტეოდა. სასაცილოა სწორედ!..

კოტე. არა, ვაჟ-ბატონო, სასაცილო აქ არაფერია?! რაც ეხლა გაიგეთ, ეს ჩვენი გლეხის ფსიხიდოგია არის!.. გულუბრყვილომ, დაჩაგრულმა მან მაინც გამოიჩინა გულ-შემატკივრობა! სინამდვილე მოგახსენეს მათ! განა ტეუილია?! სად წავიდა თავადთა სიმდიდრე? ვის ხელშია ის მიწა-წყალი, რომელზედაც ეგ სწყალნი მამაპაპიდგან ოფლსა ღვრიდნენ?!.. გადარიბდა თავადი!.. გლეხიც დაეცა! სხვამ დაისაკუთრა მათი მიწა! ითასობით ფლანგავენ თავადნი ფულსა და შემოსავალს კი არ უეურებენ; რასაც იძლევა მამული, ვალების ხმარდება, და დაჩვეულს მუქთა-მჭამელს კი კიდევ სურს ბლომა ფული!... სახსარი ფულის შოვნისა რაცა ელევათ, მაშინ ეძებენ მეიდვეელსა და ოხრად აგდებენ მამულს, რომელიც ბატონ-ყმობამ ჩაუგდო მათ ხელში!..

რევაზი. აი, დაიწეო თავისებურად!... როშავ, ჩემო ძმისწულო!.. სასტიკოდ გიგდებენ ყველა, გეეოფა!.. გაჩუმდი... ხომ გუშინაც გითხარ, რომ მე არავის მივცემ მამულს უფულოდ!..

მაკინე. არ შეგშვენის, კოტე, ასრე დაპარაკი, შენც ჩვენი წრისა ხარ, და ჩვენ უნდა მოგვცე მხარი. ხმა ადარ ამოიღო, არც მსურს, რომ ეგრე ილაპარაკო ჩვენს სახლში, სჯობია, რომ არც კი მოხვიდე ხოლმე, და გირჩევ, ჩუმად იყვე!...

კოტე. გაჩუმდე?!.. ხმა არ ამოვიღო?! მაშ კარგი!... ეხლა უფრო ვიყვირებ ხმა-მაღლა, ეხლა უფრო ვაცნობებ მთელს ქვეყანას, რომ თქვენ იყავით და ხართ კიდეც ერის უბედურება!..

მიხა. დაიწეო!..

რევაზ. ვაი, ჩემო ცხონებულო ძმაო, რა შვილი გამოგივიდა?.. (გაჯავრებული) იცი, კოტე, შენი ადგილი სად არის?! აი იქ, მეტეხის ციხეში, სჯობია გაჩუმდე!...

კოტე. მე არ მეშინიან თქვენი ციხისა!.. ეს ჩვენი ქვეყანა მთლად ციხეა, შეეჩვიე კიდეც! მაგრამ მე არავის ვცარცვავ თქვენსავით, არც ვჭამდამ, არც ვუზღუდავ თავისუფლებას, და რისთვის უნდა ჩამსვან ციხეში?! იმ სიმართლისათვის, რომელიც თქვენ თვალებში გჩრით!?

მიხა. (იყურება ფანჯარაში) გეეოფა, გეეოფა, შენთვის არა გვცალია, ხოდოკები მოვიდნენ, უნდა მამულზე მოვიდაპარაკოთ!...

რევაზი. (იყურება, მაკინეც დგება და ფანჯარაში იყურება) ვინ მოიყვანა ეგენი, ან ვინ გამოგზავნა?!

მიხა. მე მოვიყვანე, მოხდობილი მაქვს, თქვენ მოგირიგდეთ მამულის შესყიდვის თაობაზე, და თუ გნებავთ, დავიწეოთ!..

რევაზი. ამაზედ კი მადლს განა როდისმე მადირსებდი!... დაუძახე, მალე მოვრიგდეთ?. (მიხა მიდის, კოტე გზას უღობავს).

კოტე. მოიცადეთ, ეური დამიგდეთ!.. (რევაზს) მაშ არ აძლევთ მამულს ჩვენს გლეხებს!?

რევაზი. არა!

კოტე. ესენი ხომ სხვა ქვეყნიდგან არიან მოსულნი, მათ რომ იყიდონ თქვენი მამული, მაშინ აქაურებს რა ეასუხს აძლევთ?!

რევაზი. დამანებე თავი!.. რა აქაურებისა მცხელა, ჩემი თავი გამჭირებია!..

კოტე. მაშ, ნუ თუ იმდენი მოთიქრებაც არა გაქვთ, რომ თქვენ ნება არა გაქვთ, სხვა ტომთ მიჰყიდოთ თქვენი მამული, რომელიც ათასი წლობით სისხლით, ოფლით მორწყულია ჩვენი გლეხის მიერ!? გიცხადებთ, რომ ეგ მამული თქვენი არ არის!.. იგი კუთვნილებაა ერისა!... და თქვენ არ შეგიძლიანთ მისი გაყიდვა!..

რევაზი. (გაჯავრებული) რას როტავ!.. გასწი, მომშორდი აქედან, და ჩემს სახლში ფეხი ადარ შემოადგა!..

კოტე. (მისცემს გზას მიხას და მიხაც გადის) გასწი, წადი დაუძახე; შე გაიძვერავ, დიდი ხანია გიცნობ, რა კაცია ხარ! გასწი, ეგენი მოუთხრიან ამათ ასოფლაში, და შენც შხამსა გასმენ! (რევაზს) რამდენი ხანია, თქვენ განაგებდით ხალხის ბედს, ავიწროებდით, ათამაშებდით, წურბელასავით სწოვდით მის შრომას! სულს უხუთავდით, უნამუსოდ ბევრჯელ ჰყიდეთ მისი ნამუსი, სინიდისი, ოითონ იგი და მისი მამული!.. თქვენ დადუეთ, გამეიდვალნო, ეს ჩვენი ერი!... კრულვა და შეჩვენება თქვენ (იღებს ქუდს) წავალ აქედან, მაგრამ იცოდეთ, თქვენც მალე გაგდევნისთ აქედან ერი და წეევლით შეგამკობთ! (გადის).

რევაზი. ვის დაემსგავსა ეს უმგზავსი, რა რიგად გაგვლანძღა!..

მაკინე. ეხლანდელი უმაწვილ-კაცობა მთლად გადარეულია, არა ესმით რა! სწავლამ კი არ გაანათლა, ბირიქით — გარეუნა!.

გამოსვლა VI

მიხა. (შემოდის და თან მოჰყვებიან ხოდოკები) ეს გახლავთ ჩვენი კნიაზი, ჰყიდის თავის მამულსა! მოურიგდეთ და ხელ-წერილიც დავწეროთ.

რევაზი. დიდის სიამოვნებით გავეიდი, თუ ფულს ნადლად მომცემენ, დავუკლებ კიდეც!...

ხოდოკი. ჩვენ, კნიაზო, დავათვალიერეთ თქვენი მამული და გადავსწეიტეთ ვიყიდოთ სულ მთლად, აი ამ კაცს დავავალეთ, რომ თქვენ მოგირიგდეთ. ფულს ნადლად მოგართმევთ, საგლეხო ბანკი გვეხმარება. თუ მოვრიგდით, ბესაც მოგართმევთ ორას - თუმანსა. მხოლოდ კი მამული დაცლეინეთ ყველასა, რადგან ჩვენ გვეჭირვება და არავის მივსცემთ აქ დგომის ნებას!..

რევაზი. მე მგონია, რომ მოვრიგდებით, მე თანახმა ვიქნები თქვენს ბირობებზე, და ადგილსაც დავაცლეინებ აქაურებს, ხვალვე ვეტევი მაზრის უფროსს! აბა მიხა, მითხარი მათი ბირობები.

მიხა. (ჩუმად) გირჩევთ, კნიაზო რევაზ, არ გაგიესლტნენ ხელიდგან ეგ მეიდვალნი, დაუთმეთ მათ ბირობებს და მაშინ მთელ თქვენ მამულს იყიდიან. მაგათ დათვალიერეს მამული, მე სუყველგან დავსდევდი, ნახეს ველიც, მინდორიც, მთა და ბარიც და გადასწეიტეს მთლად შეიძინონ ეგ მამული, თუ დასთანხმდით დღიურზე საერთოდ სამ თუმანს. ამ ბირობებზე დავსწერთ ქაღალდს და ბანკიდან მიიღეთ ის ზედ-მეტი ფული, რაც გადარჩება თქვენს ვალებს. ორას თუმანს კი ეხლავე მოგართმევთ ბეს! ამაზე ნადდ მეიდვალებს ვერასდ იშოვნით. ეს საქმე ერთ თვეში გათავდება! იცოდეთ, რომ ამათ თვით მთავრობაც ეხმარება!.. მე გირჩევთ მიჰყიდოთ მათ მამული. (კოტე ჩუმად შემოდის კარს უკან იმალება).

რევაზი. რა ვქნა, თუმცა ტოტაა, მაგრამ ისეთ ბირობებში ვარ, რომ უნდა დავსთანხმდე!.. ეს თუმნიანი ვენახებიც კი უნდა სამ თუმნად გადავაგდო! ვალებს მაინც მოვშორდები და მეც დამრჩება, ბევრი თუ არა, საცხოვრებელი მაინც! მე მზად ვარ, თანახმა ვარ! მაშ დავწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როთ ᲮირᲝᲑის ქᲐᲚᲐᲓᲓი!... წᲐმᲝᲓით ჩემს ᲝთᲐხᲨი (გადიან)

ᲛᲐკინე. ᲛᲐᲓᲓᲝᲑᲐ ᲓᲛერთს, ძᲚᲘᲕს Არ ᲛეᲓᲘრსᲐ ᲤუᲚი! ხვᲐᲚᲕე გᲐᲕსწᲔᲕ ქᲐᲚᲐქᲨი და ჯერ შᲔᲕᲘᲛᲐსᲔᲑი რიგᲖე, რᲝგᲝრც შუშᲕᲔᲜის კნეᲘᲜᲐსᲐ, და Მერე, ᲘსრᲘᲐᲚᲔ ხᲐნ Აქეთ და ხᲐნ იქითᲘ, (იᲧურᲔᲑᲐ კრᲘᲐᲚᲕᲘთ) ჩემს ᲕᲐსᲘᲐკᲝᲡᲐᲪ გᲐᲕᲐხᲐრეᲑ, და დრᲝს ერთᲐᲓ გᲐᲕᲐტᲐრეᲑთ!. ᲔხᲚᲐᲕე ᲛᲝᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑი ქᲐᲚᲐქᲨი წᲐსᲐსᲕᲚᲔᲚᲐᲓ, რᲝᲛ ხᲕᲐᲚᲕე გᲐᲕუᲓᲒᲔ გᲖᲐს. ᲘᲛხᲘᲐრუᲚᲔ, კნეᲘᲜᲐᲕ, თᲝრეᲛ ᲑერᲓᲔᲑი (გარᲔᲑის გᲐხᲐრᲔᲑუᲚი)

გᲐᲛᲝსᲕᲚᲐ VII

ᲙᲝტᲔ. (გᲐᲛᲝᲕᲐრᲓᲔᲑᲐ და ᲐღელვᲔᲑუᲚი ᲘᲧურᲔᲑᲐ) ᲓᲛერთᲝ ჩემᲝ, ᲐᲛᲐს რᲐს სᲮᲐᲓᲘᲐᲜ!.. ᲝᲰ ჩᲘრᲔᲜᲝ ჩᲕᲔᲜი ერᲘᲐს! რᲐ რიგ ᲛძᲐგხᲐრთ!.. ᲜᲔტᲐᲕ ᲛᲝᲕᲐ დრᲝ,რᲝᲛ თქᲕᲔᲜ ᲐᲘგᲐᲕᲝთ დᲔდᲐᲛიწᲘს ზურგიდᲐᲜ! ᲜᲐხეთ, რᲐ გᲐჩქᲐრᲔᲑუᲚᲜი ᲰᲕᲘᲓᲘᲐᲜ ᲛᲐᲛუᲚსᲐ.... ᲰᲕᲘᲓᲔთ... ᲰᲕᲘᲓᲔთ!... ᲛᲐᲜᲐᲛ დრᲝ ᲙᲘᲓᲔᲕ თქᲕᲔᲜᲘᲐ!... Მერე რᲐდᲐს გᲐᲰᲕᲘᲓᲔთ?! ᲘქᲜᲔᲑ გგᲝᲜᲘᲐთ, რᲝᲛ შᲔᲡᲫᲚᲝთ გᲐᲰᲕᲘᲓᲝთ გᲚᲔხ-ᲙᲐᲪᲘს სᲘᲜᲘᲓᲘსი, ᲔᲜᲐ, სრწᲛუᲜᲝᲑᲐ ᲐᲜ თᲕᲘთᲝᲜ Იგი!? ᲐქᲛᲓᲘს ᲛძᲘᲜᲐრᲔ ერᲘ ᲕᲔრ ხᲔᲓᲐᲕᲓ ᲛᲝᲐხᲚᲝᲕᲔᲑუᲚს სᲘკᲕᲓᲘᲓს, ᲛᲐგრᲐᲛ ᲔხᲚᲐ კᲘ, თქᲕᲔᲜი ᲐᲛ სᲐქᲪᲘᲔᲚᲘთ Იგი გᲐᲛᲝᲐᲕᲘᲡᲘᲖᲚᲔთ და ᲕᲐ თქᲕᲔᲜᲐ, ᲤᲔხᲘთ გᲐგᲝᲔᲚᲐᲕᲐს, გᲐგსრᲔსᲐᲕს, რᲝᲛ თქᲕᲔᲜი სᲐხსᲔᲜᲔᲑᲔᲚი Არ ᲘᲧᲝს ᲐᲛ ქᲕᲔᲧᲜᲐᲓ და Არც ᲘᲛ ქᲕᲔᲧᲜᲐᲓ!.. ᲝᲰ, თქᲕᲔ ᲘᲧᲓᲔᲑᲝ!... (ᲤᲔრ-ᲛიხᲓილი, ძᲐლᲖᲔ ᲐღელვᲔᲑუᲚი სკᲐᲛᲖᲔ დᲐᲔშᲕᲔᲑᲐ).

Ფ Ა რ Დ Ა.

გიორგი ფოცხოველი.

შინაური მიმოხილვა.

—:—

გᲐზეთᲔᲑᲛᲐ გᲐᲛᲝᲐქᲕᲔᲧᲜᲔს შინᲐგᲐᲜ საქᲛეთᲐ ᲛᲘᲜᲘᲡტრის ᲪᲘრკᲣᲚᲘᲐრი, გᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚი 9 ქრᲘსტᲔᲛᲝᲑისთვეს 1909 წᲔᲚს, რᲝᲛᲔᲚᲘᲐᲪ ბ. ᲛᲘᲜᲘᲜტრი ᲣᲮᲡᲜის გუᲑᲔრᲜᲐტᲝრᲔᲑს, თუ რᲐ ფᲐრგᲐᲚᲨი უᲜდᲐ ᲛᲝქᲛᲔდᲔᲑდᲔᲜ ᲘსᲜი გᲐᲜსᲐკუთრᲔᲑუᲚ და სᲐᲛხᲔდრᲝ წᲔსᲔᲑის ᲐრსᲔᲑᲝᲑის დრᲝს. ᲪᲘრკᲣᲚᲘᲐრის შᲘᲜᲐᲐრსი ᲜᲐთᲚᲐდ გვᲔუᲑᲜᲔᲑᲐ, რᲝᲛ Ის წᲐრᲛᲝᲨᲕᲐ ᲐდგᲘᲚᲝᲑრᲘᲕ გᲐᲛგᲔᲑᲚᲔᲑᲘს თვᲘთᲜᲔᲑᲝᲑᲐᲛ. Აქ ᲑᲔვრი რᲐᲛ საყურᲐᲓღᲔᲑᲝᲐ, ᲛᲐგრᲐᲛ ჩვᲔᲜ ყურᲐᲓღᲔᲑᲐს ᲛᲘვᲐქᲪᲔᲕთ ᲛხᲝᲚᲝდ ერთს ᲛუხᲚს. ᲛᲘᲜᲘსტრი სწერს: „ჩვᲔᲜი კᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑის შᲘᲜᲐᲐრსით თვᲘთᲔული ᲐდᲐᲛᲘᲐᲜი ᲞᲐსუხისᲛგᲔᲑᲔᲚია ᲛხᲝᲚᲝდ Მის ᲛᲘᲔრ ჩᲐდᲔᲜილ და ᲐრᲐ სხᲕᲔᲑის დᲐᲜᲐᲨᲐუᲚᲝᲑᲐშᲘ, ᲐᲛᲐსთᲐᲜᲐᲕᲔ Ას ᲞᲐსუხს ᲐგᲔᲑს ᲛხᲝᲚᲝდ ერთ ჯერ.

ᲛᲘუხᲔდᲐᲕᲐდ ᲐᲛᲘსᲐ ზᲝგᲘᲔრთი გუᲑᲔრᲜᲐტᲝრი სᲐვᲐᲚᲓᲔᲑუᲚᲝ დᲐდგᲔᲜილᲔᲑᲔᲑით ᲞᲐსუხისᲛგᲔᲑᲚᲐდ ხდᲘᲐᲜ „ᲛთᲔᲚ სᲝფᲚის საზᲝგᲐდᲝᲔᲑᲐს“, ᲞᲔდᲐგᲝგᲘᲣრ საᲑჭᲝს შᲔგᲘრᲓᲔᲑის დᲐᲜᲐშᲐუᲚᲝᲑისᲐთვის და სხვა; ზᲝგᲘᲔრთ დᲐდგᲔᲜილᲔᲑაში ᲘსᲘᲪ კᲘᲐ ᲐღᲜᲘშᲜუᲚი, რᲝᲛ ᲐᲛ დᲐდგᲔᲜილᲔᲑის დᲐᲛრᲚᲕᲔᲚᲘ ᲞᲐსუხს ᲐგᲔᲑᲔᲜ ᲐდᲛᲘᲜისტრᲐᲪᲘᲣᲚი წᲔსᲘთᲐᲪ და სᲐᲛᲐრთᲐᲚᲡის წᲘᲜᲐშᲔᲪᲝ“.

Ეს ᲐდგᲘᲚი ᲛᲔტᲐდ ᲡᲐგუᲚᲘსხᲛᲝᲐ ჩᲕᲔᲜთვის. ᲐრᲐვᲘსთვის დᲐსᲐᲛᲐᲚᲐᲕი ᲐრᲐᲐ, რᲝᲛ ჩᲕᲔᲜი სᲝფᲚᲔᲑი უᲖᲝᲛᲝდ შᲔწუხᲔᲑუᲚია ᲐდᲛᲘᲜისტრᲐᲪᲘუᲚ ᲞᲘრᲔᲑის დᲐრᲑᲔᲕᲘთ. ᲡᲐკᲛᲐრᲘსᲘᲐ Ერთი ᲕᲘᲜᲛე გᲐᲕᲐრდᲜილი გᲐᲛᲝჩᲜდეს სᲝფᲔᲚᲨი, რᲝᲛ ᲛთᲔᲚ ᲡᲐზᲝგᲐდᲝᲔᲑᲐს ᲔკᲖᲔკუᲪᲘᲐ ჩᲐუყᲔᲜᲝᲜ. და Ეს დᲐრᲑᲔᲕᲐ, Ეს ᲡᲐᲔრთᲝ შᲔწუხᲔᲑᲐ ᲡწᲐრᲛᲝᲔᲑს ᲐრᲐ ᲛხᲝᲚᲝდ ᲛᲐᲨᲘᲜ, რᲝᲪᲐ ᲔგრᲔდ წᲝდᲔᲑუᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘკუᲠ დᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔს ᲔᲛᲔᲑᲔᲜ, უᲑრᲐᲚᲝ ᲛკᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲪ კᲘ ᲐᲛᲕᲔ ᲡᲐᲔრთᲝ დᲐრᲑᲔᲕᲐს ᲘწᲕᲔᲕს. ᲛᲐგᲐᲚᲘთი უთᲕᲐᲚᲐᲕია. თუᲜდ ᲐᲘ ერთი კᲕᲘრის ᲐᲛᲑᲐᲕი. რᲝგᲝრც „Ახ. ᲮᲘᲕᲘ“ გᲐდᲛᲝგᲕᲪᲔᲛს, ᲡᲝფᲔᲚ ᲭᲐᲚᲐდᲘდᲨი ᲛᲝᲛᲮდᲐრᲐ ᲡᲐზᲘზᲚᲐრი ᲛკᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ, ᲕᲘღᲐᲪᲐს ერთი ᲛᲔდუᲥᲜᲔ ᲛᲝუᲙᲚᲐᲕს. ᲪᲮᲐდᲘᲐ, Ეს უᲑრᲐᲚᲝ ᲡᲘსხᲚის ᲡᲐᲛᲐრთᲚის საქᲛᲔᲐ და ᲛᲔტᲘ ᲐრᲐფᲔრი. ᲛᲝᲜᲐხᲔ ᲛკᲕᲚᲔᲚი და ᲨᲔსᲐფᲔრ ᲞᲐსუხისგᲔᲑᲐშᲘ ᲛᲘᲔᲪი. ᲛᲐგრᲐᲛ ᲐრᲐ, „ᲓᲘᲚᲘთᲘᲗᲔ ჩᲐᲛᲝᲕᲘდᲐ ᲡᲔᲜᲐᲙᲘდᲐᲜ ᲐᲛ საქᲛის გᲐᲛᲝ ᲑᲝქᲐუᲚი, ᲛᲐᲜ ᲨᲔკრიᲑᲐ ხᲐᲚხი და **ᲓᲘᲚᲘდᲐᲜ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲛᲓის დᲐᲛწᲧᲕᲓᲔუᲚი ᲧᲐᲕᲓᲐ**“. თუ ᲐსᲔთი ᲛᲪირᲔდი საქᲛᲔ ᲛთᲔᲚი საზᲝგᲐდᲝᲔᲑის დᲐტᲧᲕᲔᲕᲔᲑᲐს ᲘწᲕᲔᲕს, რᲐღᲐ ᲘქᲜᲔᲑᲐ, რᲝᲪᲐ დᲐᲜᲐᲨᲐუᲚს ᲞᲝᲚᲘᲢᲘკუᲠი სუᲜი უდის?

ᲡწᲝრᲔდ Ეს გზᲐ დᲐრᲑᲔᲕᲘსᲐ, Ეს უდᲐᲜᲐშᲐუᲚᲝ ᲞᲘრᲝᲕᲜᲔᲑის გᲐთᲔᲚᲕᲐ, ხᲐᲚხის შᲔწუხᲔᲑᲐ, დრᲝს წᲐრᲗᲛᲔᲕᲐ ჩᲕᲔᲜში სისტᲔᲛᲐდ გᲐდᲐᲘქᲪᲐ. და რᲝᲛ ᲐᲛᲘᲔრიდᲐᲜ ᲛᲐᲘᲜᲪ ბ. ᲛᲘᲜისტრის გᲐᲜკᲐრგუᲚᲔᲑᲐ ᲛიᲐᲚწᲔᲕდეს დიდ თუ ᲞᲐტᲐრᲐ ᲛᲐრთᲕᲔᲚᲗᲐ ᲧᲣრᲔᲑᲐᲛდᲔ, ᲔსᲔᲪ ᲔრთᲜᲐᲘრი ღᲕთის წᲧᲐᲚᲝᲑᲐ ᲘქᲜᲔᲑᲐ.

*
* *

საზᲝგᲐდᲝᲔᲑრᲘᲕ სიᲛწᲘფის საუკᲔთᲔსᲝ ᲛᲐჩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚია ᲞᲐსუხის ᲛგᲔᲑᲚᲝᲑᲐ. თუ თქᲕᲔᲜ თქᲕᲔᲜ Მიერ ᲐრჩᲔულ ᲞᲘრს, თქᲕᲔᲜი საზᲝგᲐდᲝᲔᲑის წᲔᲕრს ᲞᲐსუხს ᲕᲔრ ᲛᲝსთხᲝᲕთ, თუ დᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ დᲐუსჯᲔᲚᲐდ რჩᲔᲑᲐ, ᲐᲨკᲐრᲐᲐ, ᲐსᲔთი საზᲝგᲐდᲝᲔᲑᲐ დᲐსᲜᲔულᲔᲑუᲚია, ის გᲐხრწᲜის გზᲐზᲔᲐ დᲐᲛდგᲐრი. ჩᲕᲔᲜᲛᲐ ცხᲝᲕრᲔᲑᲐᲛ უთᲕᲐᲚᲐᲕი ᲛᲐგᲐᲚითი ᲛᲝგᲕᲪᲐ, ᲡᲐᲪᲐ დᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ, საზᲝგᲐდᲝ ქᲝᲜᲔᲑის გᲐᲛფლᲐᲜგᲐᲕი დᲐუსჯᲔᲚი დᲐრჩᲐ და ᲐრხᲔᲘᲜᲐდ გრძᲜᲝᲑს თᲐᲕს. დღᲔს კᲐᲪი სᲐᲛᲐრთᲐᲚᲨი უᲜდᲐ ᲛიგᲔᲪᲐთ, ხᲕᲐᲚ ᲡᲐᲞᲐტიᲝ ᲐდგᲘᲚᲖᲔ ᲘრჩᲔᲕᲗ. Ეს გᲐᲜᲐ გზᲐ დᲐᲚუᲞᲕის და გᲐთᲐხსᲘრᲔᲑის გზᲐᲐ—ის საზᲝგᲐდᲝ საქᲛᲔᲔᲑᲨი ᲐᲑᲐტᲝᲜᲔᲑს ᲘსᲔთს ᲐდᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑს, რᲝᲛᲔᲚᲜიც უტᲘფრᲐდ სთᲔᲚᲕᲔᲜ საᲔრთᲝ ᲘᲜტᲔრᲔსᲔᲑს და ᲞᲘრᲐდ ᲛᲘსწრᲐფᲔᲑის გულისთვის ყᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ საზᲘზᲚრᲝᲑᲐს ᲡᲩᲐდᲘᲐᲜ. ქუთᲐᲘსის ᲝᲕᲐდ-ᲐზᲜᲐᲣრᲝᲑის უკᲐᲜᲐსკᲜᲔᲚ კრᲔᲑᲐზᲔ ᲜᲐთᲚᲐდ გᲐᲛᲝᲘრკᲕᲐთ, რᲝᲛ დᲔᲞუტᲐტთᲐ საკრᲔᲑუᲚᲝს 13.000 ᲛᲐᲜᲐთის გᲐსᲐᲛᲐრთᲚᲔᲑᲔᲚი საᲑუთᲔᲑი Არ ᲛᲝᲔᲞᲝᲑᲐ. Აქ ᲚᲐᲞᲐრᲐკი ᲐღᲐრ ᲨᲔᲘძᲚᲔᲑᲐ. საზᲝგᲐდᲝᲔᲑᲐᲛ ᲐᲛᲝგᲘრᲩᲘᲐ, თᲐᲕᲘსი ქᲝᲜᲔᲑᲐ ჩᲐგᲐᲑᲐრᲐთ, ᲐᲜგᲐრᲘშᲘს ᲕᲔრ ᲐძᲚᲔᲕთ? ყᲝᲕᲔᲚი საღი, თᲐᲕᲛᲝყᲕᲐრᲔ და ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘსᲐთვის ᲛზრუᲜᲐᲕი საზᲝგᲐდᲝᲔᲑᲐ გᲔტყᲕთ: ᲛᲘᲑრძᲐᲜდით! საუᲑᲔდᲣᲠᲝდ კᲘ

ჩვენ სულ სხვას ვხედავთ: არც პასუხის მგებლობა, არც უნდობლობა. ბატონებო! ასე არ შეიძლება, როდისმე უნდა შევეჩვიოთ წესიერებას, თვარა ასედაც დაძაბუნებულნი სრულიად გავისრისებით, არამც თუ სხვების ჩვენსავე თვალში დავკარგავთ ყოველივე ნდობას და პატივისცემას.

უცნაური გაგონება.

(დასასრული)

—:—

— მახსოვს, პატარა ვიყავი — პატარა ხნის ფიქრის შემდეგ განაგრძო ყმაწვილმა კაცმა—ერთ გლეხს, მშვიდსა და უწყინარს, საკუთრების წართმევა დაუპირეს. სახლის გვერდზე პატარა კალო ჰქონდა, რომელსაც გვერდზე გზა ჩაუდიოდა. იმ სოფლის მებატონე-თავადი ამტკიცებდა, რომ წინად გზა იმ კალოზე მიდიოდა, რომ გლეხმა გზა ზევით ასწია და ადგილი დაისაკუთრა. ატყდა ჩვეულებრივი დავიდარაბა. არც გლეხი უთმობდა, არც თავადი, სასამართლოში წასვლა კი არც ერთს არ უნდოდა. გლეხს შემორაგული ჰქონდა თავისი პატარა კალო და ბატონის ბრძანებასა და მუქარაზე, რომ ღობე თავისი ხელით აეღო და გზა გაეხსნა, მოკლე პასუხს უთვლიდა: მოდი და შენ აიღეო. თავადი მეტის-მეტი მრისხანე მემამულე იყო. მისი შიშით მთელი ის არე-მარე ცახცახებდა და კანკალებდა. მისი გასამართლება მოკლე იყო და მარტივი. პატარა, უბრალო საქმეში მათრახს ამუშავებდა, დიდში—ხმალსა და ტყვიას. ჰყავდა მოურავი და რამდენიმე ტყისა და ბარის მცველი ოსნი, რომლებიც თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულნი იყვნენ და ბატონის პრესტიჟის ასაწევად და ასამაღლებლად, როგორც ნადირზე, ისე ნადირობდნენ გლეხებზე. საკმარისი იყო, გლეხს ბატონობით არ მოეხსენებინა ეს კაცის-მჭამლები, რომ მათრახით ააჭრელებდნენ და თუ ვინმე სიტყვის ამაღლებას გაბედავდა, ან ურჩობას გასწევდა, ან ტყეში უბარათოდ შევიდოდა, ან ხანჯლით დასჩეხავდნენ, ან ტყვიით დასჭრიდნენ. აი რა ხალხთან ჰქონდა საქმე იმ გლეხს და ის მაინც უთვლიდა მათ: მოდით და თქვენ თქვენის ხელით დაანგრიეთ ჩემი ღობეო.

ეს დღეც დადგა. იმ დროს მე შემთხვევით გავჩდი გლეხის კარ-მიდამოსთან. თავადურად გამოწყობილი მოურავი სამი შეიარაღებული ოსით მიადგა გლეხის კალოს. მათ დანახვაზე გლეხის ცოლი, რომელიც იმ დროს პატარა ბავშვით თავის ეზოში იდგა, გაფითრდა, ბავშვი მიწაზე დააგდო და თავადაც მუხლებში ჩაიკეცა. ბავშვებმა საშინელი წივილ-კივილი ასტეხეს. მეზობლები გამოიფინენ კარში და ერთ ადგილას გაქვავებულივით, გადიდებულის თვალებით და გაფითრებული სახეებით ელოდნენ, რა შედეგი მოჰყვებოდა ამ ამბავს.

მოურავი მიუახლოვდა ღობეს, მაგრა შეანძრია იგი, ერთი სარი ამოაძრო, შორს გადააგდო და უბრძანა ოსებს, ღობე მთლად დაენგრიათ და დაეშალათ. ამ დროს გაისმა საზარელი, თავზარდამცემი ხმა და სახლიდგან გამოვარდა პატრონი... საზარელი იყო მისი სახე, საზარელი იყო ცული, რომელიც მას ხელში ამართული ჰქონდა. ყველა მნახველისთვის ცხადი იყო, რომ გლეხს თავი განწირული ჰქონდა და ისიც ცხადი იყო, რომ იაფად არ მისცემდა არავის თავის სიცოცხლეს. ოსებმა უნებურად უკან დაიხიეს და თოფები მოიმარჯვეს. მოურავი ოსებს ამოეფარა. გლეხი მიუახლოვდა ღობეს, გაჩერდა და რიხიანი ხმითს შესძახა: დედითქვენის შვილი იქნება, ვინც ღობესთან მივა!—მიდით, დაანგრიეთ ღობე—დაიყვირა გონზე მოსულმა მოურავმა, მაგრამ ოსები ღობესთან მისვლას ვეღარ ჰბედავდნენ და მხოლოდ თავის დაცვაზე-ღა ჰფიქრობდნენ. მოურავმა რომ დაინახა, რომ გლეხი მხოლოდ მაშინ იხმარდა ძალას, როდესაც ღობეს ვინმე მიეკარებოდა, გული მიეცა და გინებასა და მუქარას მიჰყო ხელი, მაგრამ ვერც ამითი გააწყო ვერაფერი და ბოლოს ერთი ოსი ბატონთან აფრინა.

— დაიცადე, ბატონი მოვიდეს! —დაემუქრა გლეხს.

— მოვიდეს, მე არავისი მეშინიან!—უპასუხა გლეხმა.

საქმე რთულდებოდა. მებატონის მოსვლა კარგს არაფერს მოასწავებდა. ან უნდა დაეთმო გლეხისთვის, და სირცხვილი ეჭამა, რაც მის ავტორიტეტს მეტად დასწევდა სოფელში, ან ღობე უნდა დაენგრია, და ამას კი სისხლის ღვრა მოჰყვებოდა.

ამ დროს გლეხიც ემზადებოდა საომრად. შევიდა სახლში, გამოიტანა თითბრით მოჭედილი დიდი ხანჯალი, შემოიკრა წელზე, ჩოხა შემოიკალთავა, სახელოები გადაიკეცა, მხრებში ძალზე შეინძრა და მოლოდინში კალოს შუა-გულში გაჩერდა.

ლამაზი იყო ის იმ დროს... ახლაც თვალ წინ მიდგია ეს დიდებული სურათი ადამიანისა. იმ დროს ის გლეხი არ იყო, არც გლეხზე მეტი, მაგრამ უბრალო ადამიანი. ის იყო ლომი... არა ლომზე უმაღლესი. ლომი მეფეა პირუტყვებისა, მაგრამ პირუტყვია. ის კი ლომი იყო და იმავე დროს ადამიანი, ლომ-კაცი, თუ შეიძლება ასეთი არსება წარმოვიდგინოთ. მთელი მისი არსება გამოჰხატავდა ფიზიკურსა და სულიერ ძალას ერთად შეერთებულს. თვალები არ ჰქონდა ამღვრეული, როგორც აემღვრევა გაბოროტებულსა და გაავებულის ადამიანს. არა, დაწმენდილი ჰქონდა, ყველაფერი აწონ-დაწონილი და გათვალისწინებული ჰქონდა და იმავე

425
ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს მისი სახე გამოხატავდა სიმტკიცესა და უზოჭო ვაჟ-კაცობას.

მებატონე მოვიდა. ბევრი იფაფხურა, გლეხის ბიძაშვილებს დაუძახა, უბრძანა დაეჭირათ და შეეკრათ. ბიძაშვილებმაც დაუპირეს დაჭერა და შეკვრა, მაგრამ ვერას გახდნენ. შეიძლებოდა მხოლოდ მისი მოკვლა, სხვა ვერავითარი ძალა ვერ გადაეღობებოდა წინ. შერცხვენილი ბატონი თავისი მხლებლებით დაბრუნდა სახლში. ღობე ახლაც ხელუხლებელია და პატარა კალოზედ ყოველ ზაფხულს შორს გაისმის გლეხის მაღალი ჰოროველა...

— დიახ, ქალბატონო—მიუბრუნდა ის უკვე ზრდილობიანის და დამშვიდებულის კილოთი ჩვენს მანდილოსანს— გლეხს თავმოყვარეობა აქვს, უფრო მეტი ვიდრე ჩვენ, არც მხდალია, როგორც ჩვენ და არც უჭკუოა, რადგან ჩვენ უფრო მომზადებულნი ვართ ცხოვრებისათვის, სარბიელიც მეტი გვაქვს და საშუალებაც და ბოლოს და ბოლოს იმავე გლეხის სარჩენი ვართ, ის კი ცარიელის ხელით ებრძვის ბუნებას, ებრძვის მხეცს,—ნადირს, ებრძვის ადამიანს და თავსაც ირჩენს და სხვასაც ბევრს არჩენს. არც უპატიოსნოა, თუ დამიჯერებთ. ფულს რომ ერთი-ერთმანეთს ასესხებენ, მოწმესაც არ დაისწრებენ და თავისას არაფერს გაგატანენ, მაგრამ არც თქვენსას ინდომებენ. არა, არა—გულით წარმოსთქვა ყმაწვილმა კაცმა— ჩვენ სწორედ მაგათი იმედი უნდა გვქონდეს, მაგათი—ბუნების შვილთა, რომელთა სული ნოყიერს, ხელუხლებელ მიწასა ჰგავს: შეიმუშავეთ, კარგი თესლი დასთესეთ, და ისეთს მოსავალს მოიმკით, რომ სულსაც გაახარებთ და ხორცსაც...

უცნობი გაჩუმდა. არც ჩვენ ვიღებდით ხმას. ყველა ეს ისეთი უცნაური გაგონება იყო ჩვენთვის, რომ არ ვიცოდით, დაგვეჯერა და მით გული გაგვეხარებინა, თუ გვასულელებდა და სულელად ჩაგვეთვალა ჩვენი თავი, და სხვა რომ ველარ მოვახერხეთ რა, ფანჯარაში ვიყურებოდით და ერთი სურვილი-ღა გვქონდა, დაგვენახა ერთი გლეხი მაინც, რომ მის არსებაში ამოგვეკითხნა ის, რასაც ჩვენ უცნობი გვიხატავდა, მაგრამ არე-მარეს ბინდი წამოეპარა და მკრთალად განათებულ პატარა სადგურზე ველარაფერს ვარჩევდით...

სვ. ყიფიანი.

ინგილოთა ყოფა-ცხოვრება

—:—

(ეთნოგრაფიული წერილები)

2

სოფლები

ტურფა-მიმზიდველს წალკოტს წარმოადგენს საინგილოს სოფლები, მთლად ბაღ-ვენახებად ქცეულნი, უშველებელ კაკლის და წაბლის ხეებში ჩაფლულნი ერთს გაუთავებელს ჭალა-ტყეს მოგაგონებთ, რომელთ შორისაც აქა-იქ მორცხვად გამოიცქირებიან წითელის კრამიტებით გადაჭედილი ინგილოური აყარიანი სახლები. ინგილოები ერთს ადგილას თავმოყრილნი და შეჯგუფებულნი კი არა სცხოვრობენ, როგორც ეს ქართლ-კახეთში არის, არამედ დიდს მანძილზედ არიან გაფანტულნი, ზოგი აქა სცხოვრობს, ზოგი იქ, ვისაც სად ეხერხება და ხელთა აქვს ადგილ-მამული. ისეა ზოგჯერ სოფელი გაფანტული და ბაღ-ვენახებში და ტყეებში მოდებული, რომ ვერც კი მიმხვდარა კაცი, სად იწყება სოფელი და სად თავდება. სახლ-კარი ისე აქვს მოწყობილი ინგილოს, რომ სახლს იქვე გვერდით აკრავს ბაღი, ვენახი, ბოსტანი, თხილიანი და ზოგჯერ სახნავ-სათესი მამულიც-კი. ამის გამოა, რომ ერთს ადგილას, ერთმანეთის მეზობლად სამ-ოთხს მოსახლეს თუ ნახავთ, თორემ მეტს არა. ინგილოს თავისუფლად და ფართოდ უყვარს ცხოვრება, რომ მისი კარ-მიდამო მარტო მის ხელთ იყვეს, და სხვა ვინმე ხელს არ უშლიდეს, და იმავ დროს ეს კარ-მიდამო იმდენი უნდა იყვეს, რომ თავისუფლად შეეძლოს არამც თუ მას გავლა-გამოვლა, არამედ შინაურს ფრინველსა და საქონელსაც. ინგილოთა სოფლებს ამიტომ უშველებელი მანძილი უჭირავთ და ხშირად 5—10 ვერსზედ არიან გაფანტულნი.

მაგრამ საინგილოში ყველა სოფელი ასე კი არ არის მოწყობილი. ამ საერთო სურათიდამ გამონაკლისს შეადგენს სოფ. ყორაღანი, ქეთუქლო, შოთავარი, ძაგამი, ალათემური, თასმალო, ყონდაღი და მოხული. აქ მთელი სოფელი ერთ ქუჩის პირად სცხოვრობს, სახლები ჩამწკრიებული არიან ერთს დიდსა და ფართოს ქუჩაზედ, რომლის აქეთ-იქით სუფთა და განიერს არხებში საყვარლად მიჩხრიალებს წყალი, რომლის ნაპირსაც ამშვენებს ფურცლისა და კაკლის ხეები. საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზედ ასეთი სოფელი, მისი ფართო, მოკირწყლული ქუჩა, საყვარლად ჩარიგებული ხეები, რიგზედ გაშენებული სახლები, მოსურათებული ჭის კარები ფიანდაზად გეშლებათ და ოცნებას კულტურულ ევროპის სოფელში გადაჰყევხართ. ყველა ეს სოფლები ნამდვილს კონტრასტს წარმოადგენენ დანარჩენ სოფლებთან

შედარებით და თითით საჩვენებელნი არიან მთელს საინგილოში. ეს სოფლები უფრო ახლო დროის გაშენებულნი არიან, ისინი გამოყოფილან ძველის სოფლებიდამ; როცა იქ ხალხი გამრავლებულა, ვერ შეჰგუებიან იქაურს ცხოვრებას და ცალკე სოფლები დაუარსებიათ. ამ სოფლებში მიუხედავად იმისა, რომ ერთს ქუჩაზედ არიან ჩამწკრივებულნი, სადაც კი შეიძლება, ისევე სიფართოვე და თავისუფლებაა დაცული, როგორც დანარჩენს სოფლებში.

სოფლებში ვერსად ვერ ამჩნევთ საბძლებს, ბეღლებს, ჯიხურებს და სხვას. ყველა ამათ მაგივრობასა სწევს ერდო-ყავარი, ანუ როგორც ინგილოები ეძახიან „აყარი“. აყარი არის ბზის შესანახიც, თივისაც, ხორბლისაც, ბრინჯისაც, ერთის სიტყვით გლეხი-კაცის ყოველივე სარჩოსი. აყარია მისი საბძელიც, ბეღელიც და საკუჭნაოც. ამის გამოა, რომ გლეხ-კაცი სცდილობს აყარი ისეთის მასალისა გააკეთოს, რომ ცეცხლისაგან უზრუნველ ჰყოს და ისე მოაწყოს, რომ რაც შეიძლება ბევრი დაიტიოს. აყარს ამიტომ ძალიან მაღალსა, ფართოსა და წოწოლას აკეთებენ. აყარს წოწოლასა და მაღალს იმიტომაც აკეთებენ, რომ საინგილოში ბუხრის მილები არ იციან, მთელი ბოლი აყარში გროვდება და აქეთ-იქიდგან ჭუჭრუტანებიდგან და კრამიტსა და კრამიტს შუა დარჩენილს ხანებიდგან გარედ ნელ-ნელა გამოდის. კრამიტით სახლების დახურვა საინგილოში ამ ბოლო დროს შემოვიდა, წინად კი სულ ლერწამით ჰხურავდნენ. ეხლა კი თითქმის ყველანი კრამიტითა ჰხურავენ სახლებსა და ძალიან ღარიბი უნდა იყვეს ინგილო, რომ ლერწმით დახუროს სახლი, მით უმეტეს, რომ ლერწმით დახურული სახლი საშიშია ცეცხლის მხრივ. ლერწმით დახურვა კი სახლისა აქ საუცხოვო იციან, ისეთი მაგარი, სქელი და მკვიდრი სახურავი იცის, რომ თავისუფლადა სძლებს 25 წელსა.

მაგრამ თავი დავანებოთ ამას, დავიწყოთ თვით ეზო-კარმიდამოდგან. ეზო ინგილოს ფართო და განიერი აქვს და რამდენიც მეტად შეძლებულია ინგილო, იმდენად უფრო დიდი კარ-მიდამო აქვს. ეზო ყოველთვის დავარაყებულია და სუფთა და მთელი ზაფხული მწვანედ გაუდის ღაღანი. ისეთ ნაირად უყვარს ინგილოს მწვანე ხავერდის ფერი ყდა კარ-მიდამოსი, რომ, თუ ვინიცობაა, ზაფხულის სიცხემ ძალა დაატანა და ხამობა შეეპარა, მაშინვე წყალს მიუგდებს, მორწყავს და ხელ ახლა გააცოცხლებს მიმჭკნარს ბალახს. კარმიდამოში ვერ ნახავთ ასეთს ბამოუსადეგარს ბალახს, როგორც ჭინჭარია, ანწლი და სხვა. ყველა ამათ ინგილო განგებ ძირიან ფესვიანათ აგდებს, სწმენდავს ეზოს მათგან.

კარ-მიდამოს ირგვლივ შემოვლებული აქვს ქვიტკირის კედელი ერთის საჟენის სიმაღლე, უფრო ხშირად კი ქვითკირის კედლის მაგივრობას მშვენივრად წნული მაღალი ღობე ასრულებს. ამ გვარს ღობეში ქუჩის მხრიდამ ჩატანებულია ფართე ჭიშკარი, რომელიც ზევიდგან გადახურულია კრამიტით, რაც გინდა ღარიბი იყვეს ინგილო, უმეტესად იმას გაძლება არ შეუძლიან და კარმიდამოს ღიას არასოდეს არ გაუშვებს. სახლს ინგილო გზის პირად არა სდგამს, არამედ შიგნით ეზოს ბოლოს. ეზოში ნახავთ რამდენიმე პირად დაწყობილს, რომელიმე კუთხეში, ფიჩხსა და შეშას, რომელსაც ინგილო პირველს გაზაფხულზედ ამზადებს ხოლმე მთელის წლისათვის. აქვე ეზოში აქვს ხის ძირას მიწაში ჩაგდებული ღვინისა და არყისათვის ქვევრები. საინგილოში მარნების კეთება არ იციან, ქვევრები ყველანი გარედ ეზოში არის მიწაში ჩაგდებული და ზევიდგან მხოლოდ მიწა აქვთ წაყრილი. ამის გამო დადგება თუ არა ზაფხული და ძალზედ დააჭერს დედამიწას მზის სითბო, ღვინო მჟავდება და ფუჭდება, ეზოშივეა მოთავსებული ბოსელი, ანუ, როგორც ინგილოები ეძახიან საქონლის სახლი, რომლის აყარიც სახლის მაგიერობას ასრულებს და თორნე, რომელიც მხოლოდ ნახევრად არის მიწაში ჩასმული და პურის მცხობელი ზეზეულა აკრავს პურსა. საქათმის ხსენებას კი ვერა ნახავთ მთელს ეზოში, შინაური ფრინველი ხეებზედ არის შეჩვეული და მთელი ზამთარ-ზაფხული იქა ბუდობს, ხეები კი ყოველ ეზოში მრავლად არის.

თვით სახლი ინგილოსი უმეტესს შემთხვევაში ქვითკირისაა და მხოლოდ იშვიათად შეხვდებით ხისას და მით უფრო იშვიათად ალიზისას. სახლები ერთ სართულიანია და წინ ყველას აივანი აქვს. სახლი ჩვეულებრივ ორის ოთახისაგან შესდგება, ერთი დიდია და ფართო, რომელშიაც მოთავსებულია მთელი ოჯახი, და მეორე პატარა, რომელიც ჩვეულებრივ სტუმრებისათვის აქვთ დატოვებული. ოთახები უიატაკოა. ფიცრის გაკვრა იატაკზედ არ იციან და მდიდარია თუ ღარიბი, ყველას მიწის იატაკი აქვთ. სახლებს კედლებში ჩვეულებრივ ფანჯრებს არ ატანენ, ჯერ საინგილოში არ არის შემოსული ფანჯრების ჩატანება ⁄ მხოლოდ მდიდარ შეძლებულებთან თუ შეხვდებით ფანჯრებიან ოთახებს. მის მაგიერობასა სწევენ პატარა, სრულიად უმნიშვნელო სარკმლები, აქა-იქ დატანებული, რომელნიც საკმარისს სინათლეს ვერ იძლევიან და სახლში მუდმივი სიბნელეა. ამ სარკმლებს შუაში მაგიერ ფიცრის მისახურები აქვთ აფარებული, რომელნიც დღისით იღებიან. ოთახში გამუდმებულ სიბნელისა გამო ზამთარ-ზაფხულ სახლის კარ-ფანჯარა ღიაა დღისით. ბუხრებსაც არ აკეთებენ დიდს ოთახებში ინგილოები. ცეცხლი ჩვეულებრივ შუა ოთახშია გაჩაღებული და ბოლი პირდაპირ აყარში ადის, საიდგანაც ნელ-ნელა ჭუჭრუტანებიდგან გადის გარედ აქეთ-იქიდგან. შუა ცეცხლისთვის ზამთრის ცივ დღეებში შეათრევენ ხოლმე ხის დიდს ბოძებს, მოუკიდებენ ცეცხლს და ნელ-ნელა ნებივრად სწვავენ. შუა ცეცხლთან იკრი-

ბება მთელი ოჯახი, დიდი, პატარა და ყონაღად (სტუმრად) მოსული ხალხი. ყველანი ჩამოუსხდებიან აგიზგიზებულს ცეცხლს, ითბობენ გაცივებულს სხეულს და თან მასლაათობენ, ბაასობენ და უამბობენ მოხუცთაგან გაგონილს ძველს ამბებს ლეკ-თათართა ბატონობის დროისას. ასეთი თემები დაუსრულებელია, მრავალ-გვარია და შიგ გამოიხატება ინგილოთა გმირობა და ვაჟკაცობა ურიცხვ მტრებისაგან თავის დაცვის დროს, როცა პირქუშნი ლეკნი პარპაშობდნენ მთელის საუკუნოების განმავლობაში საინგილოს მიწა-წყალზედ. ბევრი გამოვლილი ჭირ-ვარამი არის ჩაქსოვილი ამ ამბებში, ბევრი ნაღველითა და ბოლმით არიან შეზავებულნი ამ ურიცხვ მტერთან ბრძოლის მოთხრობანი. ყველა ამას ინგილო ზამთრის ცივს დღეებში გიზგიზა ცეცხლის წინ იგონებს და უამბობს ახალგაზრდობას.

სახლში ვერა ნახავთ ტახტსა და სხვას მის მინაგვარს. ინგილოები პირდაპირ მიწაზედ იშლიან ლოგინსა და ისე იძინებენ, მთელს აქაურს ლოგინს ჯეჯიმები შეადგენენ, რომელნიც მრავლად მოიძებნება ყველა ოჯახებში. სურათებიანსა და ათასფერად აჭრელებულს ჯეჯიმს ქვეშ გამოკრული აქვს სქელი და მაგარი მოთელილი ნაბადი. ამ გვარს ჯეჯიმს ინგილო ზოგს ქვეშით იგებს და ზოგს ზევიდამ იხურავს. მუთაქები საინგილოში სრულიად მიღებული არ არის, ხმარობენ მხოლოდ ბალიშებს, რომლებშიაც ბუმბულის მაგივრად მატყლსა ჰყრიან და რომლებსაც **სასთულს** ეძახიან.

სახლის კედელში თაროები არის გაკეთებული, რომელზედაც ყოველთვის დაკრიალებულ-დასუფთავებული სპილენძის ჭურჭელი არის ჩამომწკრივებული. წინეთ თაროები არ იცოდნენ, მის მაგიერ ორი ფიცარი იყო მიმაგრებული ერთმანეთზედ ირიბად და ამათზე ეწყო ჭურჭელი, რომელსაც **კორთეს** ეძახდნენ, ესევე აკეთებდნენ ფიცრებისაგან გძელს ტახტს, წალოს მაგივრად, რომელსაც **დიჩას** უძახდნენ. სპილენძის ჭურჭლისა და ჯეჯიმების რაოდენობით გაიზომება ინგილოს სიმდიდრე. რამდენადაც ინგილო უფრო მდიდარია, იმდენად უფრო მეტი ჭურჭელი და ჯეჯიმები აქვს. ხშირად კედელში გაკეთებულ თაროებზედ იმდენი კოხტად დაკრიალებული და მოკალული ჭურჭელი არის ხოლმე ჩამწკრივებული, რომ ზოგს მექვაბეს არც კი ექნება თავის დუქანში ამდენი. ინგილოს ჭურჭელის სიმდიდრით თავიც მოაქვს და სატრაბახოდაცა აქვს გახდილი.

დიდი ოთახი, სადაც მთელი ოჯახი არის მოთავსებული, ხშირად ძალიან უსუფთაოდ არის და კვამლით გაჭვარტლულია მისი კედლები და ჭერი. არავითარი მორთულობა არ მოიპოვება ინგილოს სახლში, გარდა **მარაზისა**, რომელიც თან და თან ხმარებიდგან გამოდის. მარაზი ფერადის ძაფებისაგან მოქსოვილ-დაგრეხილ თოკის მინაგვარია, რომელსაც ყოველ თითო გოჯის სიშორეზედ ფერადის ძაფებისაგანვე გაკეთებული მომცრო ბურთები ჰკიდია. ამ მარაზს კედლებზედ ავლებენ ჭერის სიახლოვეს რამდენიმე პირად მთელს ოთახს. მარაზი და კედლებზე რამდენიმე ადგილას ჩამოკიდებული პურის სავარცხელი, რომელიც თავთავებისაგან ოთხკუთხად მოქსოვილს რასმეს წარმოადგენს, არიან მთელი მორთულობა ინგილოს სახლისა.

სადილს ინგილოები ძირს იატაკზედა სჭამენ, გაშლიან ჯეჯიმს, დააწყობენ ხონჩებზედ საჭმელ-სასმელს და შემოუსხდებიან ყველანი. მხოლოდ ეს კია მტკიცედ დაცული, რომ ქალები და კაცები ერთად არ დასხდებიან არას დროს, გინდა და-ძმანი ან ცოლ-ქმარნი იყვნენ, ცალკე უნდა სჭამონ კაცებმა და ცალკე ქალებმა.

უფრო სუფთადა აქვს შენახული ინგილოს პატარა ოთახი, რომელშიაც სტუმრებს მოათავსებენ ხოლმე. აქ ხშირად პატარა მაგიდაც მოიპოვება და პატარა ტახტიც. ამ ოთახშივე ნახავთ ბუხარს, რომელიც ძველად საინგილოში სრულიად არ იცოდნენ.

სახლში, ან მის აივანზედ ნახავთ ხის უშველებელს კასრებს. ეს კასრი ხის მორს წარმოადგენს, რომელიც შიგნიდგან გამოუგულვიათ-გამოუთლიათ და პურისა და სხვა რამ ხორბლის ჩასაყრელად გაუხდიათ.

ინგილოთა შუაგულს სოფელში ვერსად დაინახავთ კალო-საბძელს. საბძლები ხომ სრულიად არ იციან ინგილოში მის, მაგივრობას ბოსლის და სახლის აყარი სწევს. კალოები კიდევ ყველას სადმე სოფლის განაპირა ადგილებში აქვთ მოთავსებული, სადაც განიავების დროს საჭირო ქარიც კარგად მოდის და არც სოფელს აჩეჩქიანებენ და აფუჭებენ.

დიდი მნიშვნელობა აქვს ინგილოთა სოფლის ცხოვრებაში ესრედ წოდებულს ბინებს. ბინები თითქმის ყველა სოფლებსა აქვთ, მეტადრე რიცხვ-მრავალ სოფლებს, რომელთაც ხშირად ათი-თხუთმეტი ბინა აქვთ. ბინა მეორე სახლ-კარია ინგილოსი. იმ სოფლებს, რომელთაც ადგილობრივ ცოტა მამულები აქვთ და არა ჰყოფნით, ისინი ძველიდგანვე წასულან სოფლიდგან, გაუჩეხნიათ სადმე ულრანი ტყეები, ახოებად უქცევიათ და უხნავ-უთესნიათ. ბინებზედ ინახავენ საქონელს, რადგანაც იქ უფრო ბევრი და უხვი საკვებია, ვიდრე თვით სოფლებში, აქვე აქვთ სახნავ-სათესი მამული და ზოგჯერ ვენახებიც. ბინაში ოჯახობა გამუდმებით არა სცხოვრობს, არამედ უფრო ზაფხულობით, ხშირად კი ასე შვრებიან, თუ ოჯახი დიდია, ჯერ-ჯერობით მიდიან ბინაში, ჯერ ერთი წავა ბინაში იმუშავებს განსაზვრულს დროს, იცხოვრებს იქ და მერე ბრუნდება სახლში და მის მაგიერ სხვა წევრი ოჯახისა მიდის. ბინაში ზოგნი ისეთებიც არიან, რომელთაც სოფელში არაფერი არ აქვთ და მხოლოდ ბინით ირჩენენ

თავსა. შემდეგში დროსა ᲬᲮნის განმავლობაში, როცა ხალხი გამრავლდება სოფელში, მაშინ ბინა მუდმივ საცხოვრებლად იქცევა ხოლმე და ცალკე სოფლად გამოიყოფა. ამ გვარად გაშენებულან მრავალნი სოფლები საინგილოში.

დასასრულ, არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არა ვსთქვათ სასაფლაოებზედაც. აქაური სასაფლაოები ნამდვილ ოსმალეთის სასაფლაოებს მოგაგონებენ. ყოველივე მიცვალებულის საფლავს თავში ურჭვია უშველებელი ბრტყელი სალი კლდე. რამდენადაც სოფელი მთის სიახლოვეს მდებარეობს, რიცხვი და სიდიდე ამ სასაფლაოს ქვებისა მატულობს და ხშირად ნახავთ მთელის საჟენის სიმაღლესაც. ალაზნის პირის სოფლებში კი, სადაც ეგრე ადვილი არ არის ქვების შოვნა, დიდი ხის გრძელს ბოძებსა სთლიან, ბრტყელს ქვას წარწერებით ზედ ამაგრებენ და საფლავის თავში არჭობენ. საყურადღებოა ინგილოთა პატივისცემა სასაფლაოებისადმი. სასაფლაოები ძაღლ-უმადურად და ღვთის ანაბარად კი არა აქვთ მიტოვებული, არამედ ყურადღებით ეჭკვიან მას და ჰპატრონობენ. ყველა ინგილო მოვალეობათა სთვლის თავისს მკვდრის საფლავი ხეებით შეამკოს და ყოველმხრივ გაამშვენიეროს, ამიტომ ყველა სასაფლაოები ხეებით არიან სავსენი. სასაფლაოებს რომ გაჰხედოთ, შორიდგან ტურფა რამ წალკოტი გეგონებათ, ან უზომოდ ატეხილი ხშირი ტყე, სადაც ურიცხვი ხეები ერთმანეთს გაზრდას ეჯიბრებიან და მხოლოდ ახლო რომ მიხვალთ, მაშინ შეამჩნევთ, რომ სასაფლაოსთანა გაქვთ საქმე. სასაფლაოზედ ხშირად იზრდება ეკალი, ძეძვი და მაყვალი და ისე გააპარტახებს და გაავერანებს ხოლმე ყველაფერს, რომ კაცს გავლა არ შეუძლიან. ამიტომ ინგილო დრო-გამოშვებით მისდგება ხოლმე ამ სასაფლაოების დამაუშნოებელსა და გამოუსადეგარს ბუჩქნარებს და სრულიად ამოაგდებს ხოლმე: გარდა ამისა მუსულმან ინგილოებში გავრცელებული არის კერძო სასაფლაოები, ყოველივე გვარს და ხშირად ოჯახს საკუთარი სასაფლაო აქვს რისთვისაც არჩეული აქვთ საუკეთესო ადგილი ბაღში, ან მახლობელ მამულში, ან იქვე, სახლის გვერდით. სასაფლაოზედ ხის მოჭრა სამარცხვინოდ ითვლება და ვიდრე ხე თითონ არ გახმება და ჩამოლპება, ხელს ვერავინ ახლებს.

ზ. ედილი.

ᲩᲔᲩᲘᲐ.

—:—

ერი—დიდად რთული მოვლენაა, იმას აქვს ბევრნაირი სხვა ღა სხვა მხარე, ბევრნაირი მომენტები თავის ცხოვრებისა და განვითარებისა; იგი ჰსუნთქავს და მოძრაობს; როგორც ცოცხალი არსება, მისი ძარღვები სცემს და მიმოდინარეობს მისი დამაღლული ცხოვრებითი ძალა.

გინდათ მიეშველოთ ამისთანა ორსებას, ამისთანა უზარმაზარ ცხოველს?—თუ გინდათ, საჭირო არის თავგანწირული ბრძოლა და მუშაობა, მარტო ერთ ალაგას კი არა, არამედ ყველგან, სადაც კი მოითხოვს საჭიროება, ყველგან, სადაც კი სცემს რაიმე ძარღვი ამ დიადი ცხოველისა.

აგრე მოიქცნენ ჩეხებიც.

მათ ისტორიაში შესანიშნავია ორი უმთავრესი ხაზი თავგამოდებული ბრძოლისა. ერთი ხაზი —ჩეხიის გარე სდევს და იკვანძება ვენაში. ეს გახლავთ ბრძოლა მართველობის ან ავსტრიის საიმპერიო უფლების წინააღმდეგ. თუ ეს საიმპერიო უფლება თვითონ წინააღმდეგია ჩეხიის თავისუფლებისა და მისი განვითარებისა, თუ თვითონ გაიძახის, რომ ავსტრია ერთი განუყოფელი სახელმწიფოაო და მთელს იმპერიას უნდა განაგებდეს ერთი საიმპერიო კანონმდებლობაო, რასაკვირველია, პირველი მტერი ჩეხიის აღორძინებისა აქ ყოფილა და აქ იყო — ვენაში, იმ უმაღლეს საკანონმდებლო საკრებულოში, რომელსაც რეიხსრატი ჰქვიან.

მეორე ხაზი—გარს უვლის თვითონ ჩეხიას და შეეხება თავგანწირულ ბრძოლასა და მუშაობას შიგნით, ხალხში. ეს ასპარეზი უფრო ვრცელია და მრავალფერი. ეს მერე განვიხილოთ. ჯერ კი გავშინჯოთ პირველი ბრძოლა პოლიტიკურ ცენტრის წინააღმდეგ.

ერთს ჩემს წერილში უკვე ნახსენები მქონდა, რომ 1867—1868 წლებში ჩეხიის დეპუტატებმა უარჰყვეს რეიხსტრატი და გამოაცხადეს კიდეც: ჩეხიას უნდა მიენიჭოს თავისი კერძო და დამოუკიდებელი რეიხსრატის. დეპუტატები ვენაში არ წასულან და არ მიუღიათ მონაწილეობა რეიხსრატის საკანონმდებლო მუშაობაში. აქედან იწყება, ეგრედ წოდებული, **პასსიური ოპპოზიცია**, რომელსაც ესეთი (შედარებით) დიდი ქვეყნისთვის, როგორიც არის ჩეხია, აქვს და ჰქონდა კიდეც თავისი მნიშვნელობა. ჩეხია თითქმის ერთს მესამედს შეადგენს მთელი ავსტრიის იმპერიისას. ამისთანა ქვეყნისათვის, რომლის წარმომადგენლობა 120—130 პირამდე ადის, პასსიური პოლიტიკა ხელსაყრელი გამოდგა. უმაღლესმა მმართველობამ თვითონ შეიგნო, რომ მუდმივი შინაური უკმაყოფილება სასიკეთო არ იყო, და ცოტა არ იყოს, შესცვალა თავისი პოლიტიკა ჩეხების მიმართ.

1871 წელს ბოჰემიის ლანდტაგმა შეიმუშავა კიდეც „ძირითადი პარაგრაფები“ ამ დიადი შინაური დავისა და უკმაყოფილების მოსარიგებლად. იქ მოთხოვნილი იყო სამეფოებრივი თავისუფლება ჩეხიისა და დაგვირგვინება იმპერატორისა წმ. ვაცლავის გვირგვინით.

429

საქმე ისე ჩაიშალა, „ძირითადი პარაგრაფი“ უბრალო მოთხოვნილებად დარჩა და ჩეხიის პატრიოტები — პირში ჩალა-გამოვლებული.

მაშინ დიდმა უსიამოვნებამ იჩინა თავი თვითონ ჩეხების შორის. დაიბადა მთელი პარტია „ახალგაზრდა ჩეხებისა“, რომელმაც მოითხოვა გადათვალიერება და გამოცვლა მიღებულ ტაქტიკისა. „პასსიურმა ოპპოზიციამ“—ამბობდნენ იგინი—ჩვენ არ მოგვიტანა არავითარი სარგებლობაო; საჭირო არის ჩეხიამ მიიღოს მონაწილეობა იმპერიის კანონმდებლობაში ⁄ იქ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადოს უმთავრეს მტერს—ცენტრალიზმსაო“. ამ ქადაგებას თავიდან, სანამ ცოცხალი იყო უმთავრესი ლიდერი „ძველი ჩეხებისა“ (პალაცკი), დიდი გავლენა არა ჰქონდა, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ, როცა ეროვნულ მოძრაობის სათავეში ჩადგა ცნობილი რიგერი, ჩეხებმა გამოსცვალეს ტაქტიკა „პასსიური ოპპოზიციისა“.

ამ ნაირად ჩეხები შევიდნენ ვენის რეიხსრატში. ლოღიკურად აქ წინააღმდეგობა იყო. მაგრამ რეალურმა ცხოვრებამ ყველას ნათლად დაანახვა, რომ მარტო განყენებული ლოღიკით შეუძლებელია იხელმძღვანელოს ყოველთვის კაცმა, რომ ზოგჯერ პატარ-პატარა, მაგრამ რეალურ ცხოვრების მოთხოვნილებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხოლმე. ეს თვით ნათლად დაამტკიცეს ჩეხებმა. შევიდნენ რეიხსრატში თუ არა, ჩეხიის დეპუტატებმა თავდაპირველად გამოაცხადეს, რომ იგინი, ამ თავის მოქმედებით, უარს კი არა ჰყოფენ ჩეხიის სახელმწიფოებრივ უფლებებს. ამ დეკლარაციის შემდეგ შეუდგენ წვრილმან მუშაობას და ავსტრიის რეიხსრატს გამოჰგლიჯეს ისეთი კანონები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეხიის ეროვნულ მოძრაობაში; ასეთია, მაგალითად, კანონი ენის შესახებ: ჩეხური და გერმანული ენა გათანასწორებული იქმნა სასამართლოებში საქმეთა **გარეგან** წარმოებაში (კანცელარიაში კი არა); პრაჰაში უნივერსიტეტი გაყოფილ იქმნა ორ ნაწილად, ერთი — გერმანული, მეორე—ჩეხური, და ამნაირად დაიწყეს ორი საუკუნის წინ შემწყდარი ლექციების კითხვა ჩეხურ ენაზე. ამისთანა კანონები ბევრი იყო მიღებული; ყველას აქ ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ საზოგადო ხასიათი ამ კანონიერებისა ის იყო, რომ ყველა ცხოვრების წვრილმან მოვლენას შეეხებოდა.

ამით ისარგებლეს „ახალგაზრდა ჩეხებმა“. ის პარტია, რომლის მეოხებით შეწყდა „პასსიური ოპპოზიცია“ და დაიწყო აქტიური პოლიტიკა, ეხლა წინააღმდეგი იყო ამ აქტიური პოლიტიკისა. „ამისთანა პოლიტიკა—ამბობდენ იგინი—ხალხს ატყუებს და თანდათან აძინებსო; ხალხს ჰგონია, თითქო რასმე აკეთებენ მისი დეპუტატები და სინამდვილით კი მათი შრომისაგან არა გამოდის რაო; ხალხსა თვალი რჩება იმათ წვრილმან მოქმედებაზე, და სრულებით ავიწყდება უმთავრესი ეროვნული მოთხოვნილებაო. ამნაირად ცენტრალიზმი უფრო მაგრდება, უფრო ფეხს იდგავს და უფრო დამბეზავს ჩვენს ქვეყანასო“.—

ამ ქადაგებაში დიდი სიმართლე იყო. ცენტრში მუშაობა, — მაგალითად, რუსეთში სახელმწიფო სათათბიროში,— სასურველია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იქაური ტრიბუნა საჭირო არის უმთავრესის ძირითადის მოთხოვნილებების გამოსაქვეყნებლად. ეს ტრიბუნა უშველებელ სამრეკლოსა ჰგავს, საიდანაც ზარის ხმა გაისმის მთელს იმპერიაში, მაგრამ თუ ამ ცენტრალურ დაწესებულებაში დაჩაგრულ ერების წარმომადგენლები შეუდგებიან ყოველ-დღიურ და წვრილმან საკითხების გადაწყვეტას, მაშინ ხალხის ყურადღება იმ ცენტრისაკენ იქნება მიქცეული, მაშინ ყოველი ერი იმ ცენტრიდან მოელის ყოველ საჭიროების გადაწყვეტას და დაკმაყოფილებას. ე. ი. მაგრდება ცენტრალიზმი და ნელ-ნელა იმარხება ყოველი ეროვნული აღორძინება. ეს კარგად აქვს შეგნებული ყოველ მმართველობას და სწორედ ამიტომ, თითქმის ყველგან, სახელიწიფო არჩევითი უფლება უფრო ვრცელია, ვიდრე ადგილობრივი. მაგალითად, მუშებს ნება აქვთ მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო არჩევნებში, და ნება არა აქვსთ სამოქალაქოში, ქალაქის საბჭოს ხმოსნების ასარჩევად; ჩვენი გლეხები ეხლა თავის წარმომადგენელს ჰგზავნიან სახელმწიფო სათათბიროში და იმავე დროს ადგილობრივად ერობაც კი არა აქვთ, მაშასადამე, არც რაიმე არჩევითი უფლება.

აი სწორედ ამატომ გამოილაშქრნენ „ახალგაზრდა ჩეხები“. ხალხმა მათ მხარი დაუჭირა და 1890 წ. არჩევნებში ისე გაიმარჯვეს, რომ ერთი „ძველი ჩეხი“ არ გასულა დეპუტატად.

ამ დამარცხების მიზეზთა შორის ერთი საგულისხმიერო მოვლენა არის. „ძველ ჩეხების“ და მმართველობის შორის ჩამოვარდა მორიგება შესახებ ჩეხიის ეთნოგრაფიულად გამოყოფისა. საქმე იმაშია, რომ ჩეხიის განაპირა ადგილები გერმანელებს უჭირავთ. იმ მორიგების თანახმად ეს ადგილები უნდა გამოეყოთ ჩეხიის ტერიტორიიდან. სწორედ ამან ასტეხა საშინელი აურზაური და გამოიწვია საშინელი დამარცხება „ძველი ჩეხებისა“. სჩანს, დიდად განათლებულ და გონებით მაღლა მდგომარე პირებმა ვერ შეიგნეს და ვერ გაითვალისწინეს ის, რაც აგრე მკაფიოდ გადასწყვიტა ერის ინსტინქტიურმა მოძრაობამ. ეხლა სახელმწიფო მეცნიერება ამტკიცებს, რომ ეთნოგრაფიულად ხაზის გასმა **სამეფოებრივი** ტერიტორიისა შეუძლებელია და ერის უფლებასთან შეუხამებელი. ამ აზრს, მე მგონი, დამტკიცება არ უნდა და, თუ კი უნდა, საქართველო წარმოადგენს უკეთეს საბუთს. თუ ეთნოგრაფიულად შეიძლება მისი ტერიტორიის დაქუცმაცე-

ბა, აშკარაა, იმას უნდა ჩამოეჭრას ბორჩალო მხოლოდ იმიტომ, რომ იქ უფრო თათრები და სომხები სცხოვრობენ, ვიდრე ქართველები; უნდა ჩამოეჭრას თვითონ მისი დედა-ქალაქი თბილისი... ე. ი. ცოცხალ ორგანიზმს უნდა მოეჭრას თავი! სწორედ ამისთანა სისულელედ მოეჩვენა ჩეხიის ერს მისი ტერიტორიის შემცირება და ერთის გმირულის დაბერვით გადააყენა პოლიტიკური ასპარეზიდან ის შვილები, რომელნიც აგრე მჩატედ მოეპყრენ ეროვნულს ინტერესებს.

პოლიტიკური ხელმძღვანელობა გადავიდა „ახალგაზრდა ჩეხების“ ხელში.

გ. გვაზავა.

ᲗᲗᲐ

ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

—;—

(დასასრული)

ერთი სიტყვით, თუმცა თემობის დროს ზოგიერთ შემთხვევაში მამა-კაცი და დედა-კაცი ადვილად იკლავდა სქესის წყურვილს, მაგრამ ხხვა დროს თემი სასტიკად ეკცეოდა ყველას, ვინც-კი დაარღვევდა სქესის ეთიკას. წარმოუდგენელი რამ იყო მაშინ ნათესავების შეუღლება. შეუბრალებლად ეკცეოდა თემი ოლქრმობაში მოღალატეს, ვინაიდგან, რადგან ოჯახი წყარო იყო ახალთაობისა, თემი თავის ამ შეხედულებას სისტემატიურად ახორციელებდა ცხოვრებაში, და ამას ხედავდა ყოველი მთიელი. თემი ამბობდა: სანამ ერთად ცხოვრობთ, ღალატი შეუძლებელია, და თუ ერთად ვერ თავსდებით, ნება გაქვთ, თავთავიანთი გზა მონახოთ...

თემის აი ამ პირობებში გაიზარდა მაყვალა. მაყვალამ კარგად იცოდა, რა თვალით უყურებდა თემი ოჯახის მოღალატეს; ვამბობ ოჯახის მოღალატეს და არა ქმრისას, რადგან თვით თემი ამგვარ საქციელს ოჯახის ღალატს უწოდდა. ეს მართალიც იყო. ოჯახის დარღვევას ხშირად მოსდევდა ქონების გაოხრება, შვილების უპატრონოდ დატოვება. ამ შემთხვევაში ბავშვები გადადიოდნენ გვარეულობის ხელში და მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, რა მდგომარეობაში ჩაცვივდნებოდნენ ეს პატარა ადამიანები... თემი და ოჯახიც გამოცდილი იყო ამისთანა ამბებში, ამიტომაც დაუღალავად ცდილობდა, მოესპო სქესთა შორის თავისუფლება. მაყვალამ დაარღვია თემის და ოჯახის საუკეთესო ტრადიცია მაშინ, როდესაც შეეძლო გასცლოდა თავის საძაგელ ცოვრებას. ვინაიდან მაშინდელი მთიელი ძლივს-ძლიობით თავიდან იშორებდა სქესთა ნდომის სიბდვილეს, მაყვალას ყოფა-ქცევა მეტად სამძიმო უნდა ყოფილიყო თემისა და ოჯახისათვის; და თუ მკითხველიც დამეთანხმება, რომ სქესთა შორის თავისუფლების მოსპობა პროგრესიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაშინ მაყვალას დანაშაული უფრო აშკარად უნდა დაინახოს ყველამ.

დღევანდელი მანდილოსანი—თუ-კი მას პატიოსნება და ნამუსი შერჩენია—არ ინდომებს ქმრის ხელში საყვარლის აჩენას. ამგვარი მანდილოსანი თავის ოჯახში ტანჯვას იტანს, ქმარს ვერ სტოვებს მხოლოდ იმიტომ, რომ დღევანდელი სოციალური წეს-წყობილება ხელს არ უწყობს მას ამ საქმეში. დღეს რომ ოლ-ქმრობის დაშორებას ისევე უყურებდნენ, როგორც ალ. ყაზბეგის გმირების დროს, ბევრი ქალი თავს დაანებებდა თავის ქმარს და ცხოვრების უკეთესს პირობებში ჩადგებოდა. ამ შემთხვევაში ალ. ყაზბეგის მაყვალა უფრო კარგ პირობებში ცხოვრობდა, ვინემ დღევანდელი მაყვალა. დღევანდელ მაყვალას გულით და სულით ენატრება თავის წინაპარ მაყვალას მდგომარეობა ქორწინების საქმეში. დღევანდელ მაყვალას სრული საბუთი აქვს უსაყვედუროს იმ მაყვალას, რათა მან შეურაცხჰყო თავისი მანდილი. დღევანდელი მაყვალა ეუბნება იმ მაყვალას: ხომ შეგეძლო წასვლა, რატომ თავს არ უშველე, რად აიხადე ნამუსი, და ეს სირცხვილი მე რად მიანდერძე....

ასე, თუ ისე, მაყვალას საქციელი არა თუ თემობრივ წეს-წყობილების პირობებში, არამედ დღევანდელ სოციალურ ცხოვრების მიხედვითაც, ყალბი მოქმედებაა.

ამიტომ მაყვალა დამნაშავეა იმაშიაც, რომ ქმრის ხელში აიჩინა საყვარელი.

თუმცა არსებითად ჩემგან განზრახული საქმე დამთავრებულად მიმაჩნია, მაგრამ მაინც საჭიროდ ვრაცხ, გაკვრით მაინც, თვალი გადავავლო იმას, რაც მოხდა ქართულ თეატრის სცენაზე.

პირველი სიტყვა წარმოსთქვა ბრალმდებელმა. ბრალმდებელმა თუმცა დანაშაულად ჩაუთვალა მაყვალას ორივე შემთხვევა მის ცხოვრებაში, მაგრამ თავისი აზრი ვერ დაასაბუთა საკმარისად: მან ვერც ჩვენი ცხოვრებიდან ამოღებულ ფაქტებით ისარგებლა და მის სიტყვებში არც სისტემა იყო. ბრალმდებელს ეტყობოდა სრული მოუმზადებლობა...

უფრო საინტერესო იყო დამცველების სიტყვები. პირველმა დამცველმა დიდ ხანს ილაპარაკა; მისი სიტყვა—თავის თავად რომ ავიღოთ — შინაარსიანი იყო და არც შნო აკლდა. მაგრამ მის სიტყვაში გატარებული იყო იმისთანა აზრები, რომელნიც ხსნიდნენ ოლ-ქმრიანობის ცხოვრებას ზოგადად. მის წინ იყო წამოყენებული განსაზღვრული მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიულ განსაზღვრულ პირობებში: ეს ამბავი მოხდა ჩვენ მთაში მე-19 საუკ. დასაწყისში. დამცველს ნათელ უნდა ეყო მაშინდელ მთიელის ცხოვრება და აქედან უნდა დაენახვებინა საზოგადოებისათვის თავის კლიენტის სიმართლე ან დანაშაული. ზოგადის

431

მსჯელობის წინააღმდეგ არა მაქვს-რა, ოღონდ იქნას შესრულებული ერთი პირობა: ზოგადი დებულება, პრინციპი საკმარისად უნდა ასაბუთებდეს კერძო მოვლენას. დამცველის სიტყვაში მე ეს ვერ დავინახე; მისი მოსაზრებანი არ ეხებოდნენ ჩვენი მთის წეს-წყობილებას, მთიელის ცხოვრების ფაქტებს. ამ მხრივ რომ მისი სიტყვა დავაფასოთ, დავინახავთ, რომ მისი ნალაპარაკევი დროისა და სივრცის გარეშე დარჩა. ვამბობ ამას იმიტომ, რომ ამ დამცველს შეეძლო წარმოეთქვა თავისი სიტყვა ქალთა „სიეზდ"-ზედ რუსეთში, სუფრაჟისტკების კრებაზე ინგლისში და, თუ გნებავთ, გოტენტოტ-ბუშმენ-ზულუსების თემებში აფრიკაში, ვინაიდგან მის სიტყვას ერთი-და-იგივე მნიშვნელობა ექნებოდა ყველგან. დამცველმა, როგორც სჩანს, საგნად აიღო ეგრედ წოდებული „ქალთა საკითხი", რომლის დასაბამი—თუ არა ვსცდები—ჩამარხულია პატრიარქულ ოჯახის დასაწყისში... დამცველის სიტყვა ასცდა თავის მიზანს. როდესაც დამცველმა დაიწყო ლაპარაკი გელაზე და მაყვალაზე, აქაც კი ვერ მიუახლოვდა თავის საგანს. აქაც ზოგადი ხასიათი მისცა თავის სიტყვას, თითქოს ინგლისელი ცოლ-ქმარი, რუსი ცოლ - ქმარი და ქართველი მთიელი ცოლ-ქმარი ერთ-და-იმავე პირობებში მოქმედებდნენ, ერთ-და-იმავ საზომით იზომებოდეს მათი ყოფა-ქცევა, თითქოს განსაკუთრებულ პირობებს განსაკუთრებული ცხოვრება არ შეეფერებოდეს და აქედან თავისებური საზოგადოება და თავისებური პიროვნება არ არსებობდეს... მიუხედავად ყველა ამისა, დამცველის სიტყვაში შევნიშნე ერთი საინტერესო და ახალი-რამ. თავის ზოგადმა მოსაზრებამ ისე გაიტაცა დამცველი, რომ თითქმის მთელი საქართველოს ოჯახობა საროსკიპო სკამზე გამოიჭიმა. თუ ქართველის ოჯახს ამის მეტი უნარი არა ჰქონდა, მაშ როგორ-ღა იცოცხლა მრავალ საუკუნოების განმავლობაში, შექმნა მატერიალური და გონებრივი კულტურა და დღესაც,—მისთვის შავ-ბნელ დროში, — იმედს არა ჰკარგავს, რომ მოვა დრო და მისთვისაც დადგება ეროვნული კეკლუცი გაზაფხული... ან არა და, განა „ზოგად" მაყვალას გამართლებისათვის ამ გვარი დასკვნა საჭირო იყო?!..

მეორე დამცველმა მოიყვანა რამდენიმე საბუთი მაყვალას საქმის გამოსარკვევად. მის ბასტილიას რომ თავი დავანებოთ, ვინაიდგან ამ სიმაგრის აღება არც თუ ისე ძნელი ყოფილა, როგორც დღეს უკვე გამოირკვა ეს ამბავი და თუ იმასაც მივიღებთ სიმართლედ, რომ ფრანგი ხალხის თავისუფლება ამ სიმაგრეში კი არ იყო ჩამარხული, არამედ თვით საფრანგეთის ხალხში, მაშინ ამ დამცველის სიტყვაში დარჩება ორი უმთავრესი საბუთი. დამცველმა ეკლესიას შეაფარა თავი, აღნიშნა-რა ეკლესიის ღვთაებრივი გავლენა ადამიანზე ჯვარის წერის დროს. დამცველმა აგრეთვე სიმაგრედ მოიხლუდა რუსის კანონი, განმარტა-რა, თუ რა ღრმა ცვლილებას ახდენს უცხო კანონი ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში, ვაქცევ მკითხველის ყურადღებას ამ ორ საბუთს იმიტომ, რომ როგორც ეკლესია, ისე რუსის მთავრობის კანონი ფაქტორია ჩვენი ცხოვრებისა. რაც შეეხება ეკლესიის და სანთლების გავლენას საზოგადოდ ადამიანზე, — ეს მოვლენა არსებობს, ამას უარს ვინ ჰყოფს, მაგრამ კითხვა ამაში არაა. დამცველს აი რა უნდა გამოერკვია: მთიელის ცხოვრებაში ჩვეულებრივ ქართულ ეკლესიას მნიშვნელობა ჰქონდა, თუ არა, და თუ ჰქონდა, რა ხასიათისა? უნდა ვაუწყო მკითხველს, როგორც ჭეშმარიტება, რომ მაშინდელ მთიელს ეკლესია, სანთელი და მღვდელი მეტად ნაკლებად სწამდა. მთიელის რელიგიურ მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებდა ხევის ბერი, დეკანოზი, დასტური... ქორწინებას საზოგადოდ ხევის ბერი ან დეკანოზი ახდენდა იმ დროს. ასე რომ, ეგრედ წოდებულ მართლმადიდებელ ეკლესიას ძლიერ მცირე გავლენა უნდა ჰქონოდა მაყვალაზე. მაყვალას არც მღვდლისა, არც ეკლესიისა და არც სანთლების (ვგონებ, ღამეც იყო) არ ეშინოდა. მაყვალა ცოლ-ქმრობის გაყრის საქმეში ეკლესიას ერ ეხათრებოდა. ეკლესიის გავლენა მთიელზე, ეს ოვით დამცველის საკუთარი ფანტაზიაა, ზღაპარია... დამცველს დაემართა ის, რაც ბელეტრისტ მაქსიმ ბელინსკის რუსეთში. ამ მწერალმა ერთ-ერთ თავის მოთხრობაში ასწერა აღდგომის ღამე, როგორც მშვენიერი მთვარიანი ღამე. მკითხველი ამ სურათმა აღტაცებაში მოიყვანა. მაგრამ... ნ. მიხაილოვსკიმ აუწყა მკითხველს, რომ აღდგომის ღამეს მთვარე არასოდეს არ ამოდის! მკითხველი სახტად დარჩა!... ასევე გავოცდი მეც, როდესაც დამცველისაგან გავიგონე, ვითომ მაყვალა შიშისაგან კანკალებდა ეკლესიის, სანთლების და საზოგადოდ ქორწინების სხვა ატტრიბუტების და მანიპულიაციების გავლენის ქვეშ. ალბად თვით დამცველიც მაგრად ვერ გრძნობდა თავის თავს, როდესაც ამაზე ლაპარაკობდა... რუსის კანონი? იქნება სიმართლეს უფრო მივუახლოვდეთ, კანონის მაგიერ სიტყვა განკარგულება ვიხმაროთ, ვინაიდგან რუსის მთავრობა პირველ ხანებში მოქმედებდა ჩვენ ქვეყანაში ცირკულიარებით, დებულებით, საზოგადოდ—განკარგულებით. მაგრამ მივიღოთ სიტყვა კანონი. ამ კანონს, რასაკვირველია. გავლენა ჰქონდა ჩვენ ცხოვრებაზე და კერძოდ მთიელ ხალხზედაც. რუსის კანონს პირველ ხანებში მეტად მცირე ცვლილება უნდა მოეხდინა ჩვენ ცხოვრებაში, მეტადრე მთიელთა წეს-წყობილებაში. რუსის კანონი იმ ხანებში შინაურ ცხოვრებას თითქმის არ შეეხო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: ახალი წესი ნელის ნაბიჯით იკაფავს ცხოვრებაში ადგილს, რადგან ახალსა და ძველს დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა აქვთ თვითარსებობაზე. ამ ბრძოლას უფრო ადგილი აქვს მა-

შინ, როდესაც რომელიმე ქვეყანაში უცხო ერის წესები შემოაქვთ. ასე რომ **რუსის კანონში არ უნდა ვეძებდეთ მაყვალას მოძმედების ახსნას.**

მაშ, რაშია საქმე?

მე ზემოდ ვსთქვი, რომ თემი ირღვეოდა, უძლურდებოდა; სამაგიეროდ ოჯახი თანდათან თავს ახწევდა თემობას და ძლიერდებოდა; ამ შემთხვევაში— თემობის და ოჯახის დავაში — ეჭვი არაა, რუსის კანონი ეხარს დაუჭერდა ოჯახის მისწრაფებას. მართლა—და, რაში ეჭაშნიკებოდა რუსის მთავრობას ჩვენი მთის ხალხის თემობრივი წეს-წყობილება, როდესაც მთელი რუსეთი და ბარის საქართველო ბატონ-ყმობის ქვეშ იხრწნებოდა. მაგრამ, ვიმეორებ, რუსის კანონს ამ ხანებში ჯერ-ჯერობით გავლენა არა ჰქონდა მთიელის შინაურ ცხოვრებაზე. როგორც ზემოდაც ითქვა, თვით მთიელთა ცხოვრებამ შეჰქმნა ისეთი პირობები, რომლის წყალობით შესაძლებელი გახდა ოჯახის გამოცალკევება თემობიდან. რუსის კანონის ბევრად წინ, თვით საქართველოს საკუთარი მთავრობა შეეცადა, დაერღვია თემობა, რათა მისი ადგილი ცალკ-ცალკე ოჯახებიდან შემდგარ ჯგუფს დაეჭირა; ამრიგად, ფიქრობდა ჩვენი მთავრობა, უფრო ადვილად დაიმორჩილებდენ მთას საქართველოს მეფეები და ჩვენი „ბრწყინვალე“ წოდება მგლურის თვალით უყურებდა მთას; მთა ამათ ეჩოთირებოდათ, სძულდათ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდგან ჩვენი მთის მაშინდელი თემები დემოკრატიულ თვითმმართველობას წარმოადგენდნენ. ამავე დროს საქართველოს დიდი უმრავლესობა მონობის უღლის ქვეშ გმინავდა. ბარის ოჯახი, მისი ყოველი წევრი, მეფისა და მებატონის საკუთრებას შეადგენდა. პიროვნება სრულებით შელახული იყო: ბარის ქართველნი ისე სარგებლობდნენ, როგორც კი მეფის და მებატონის ცხოვრება და სურვილი მოითხოვდა. სულ სხვა იყო მთა. უწოდებრიო, მჭიდროდ შეკავშირებული მთა თავს არ უხრიდა საქართველოს ბატონებს; ბევრჯელ წინააღმდეგობასაც უწევდა მთა. აქედან დაისკვნა მთის დამონავება. საქართველოს მეფეები შეუდგნენ კიდეც ამ საქმეს. პირველ ხანებში დაუნიშნეს მთიელებს მოხელები — მოურავები. ამით აჩვევდნენ მთიელს ბიუროკრატილ წესს, ანუ მორჩილებას. ჩვენმა მთავრობამ მთიელების დამონებაში მეორე ნაბიჯიც გადადგა. მოგეხსენებათ, ხალხის დამონებაში წოდებრიობას მეტად დიდი ადგილი უჭირავს. სოციალური ეს აქსიომა ჩვენ მეფეებსაც კარგად ესმოდათ. ამის გამო საჭირო იყო მთაშიაც შემოეღოთ წოდებრიობა, რის განხორციელებას შეუდგნენ კიდეც: მთიელთა შორის ზოგი-ერთი გვარები გაათარხნეს. აქედგან აშკარად სჩანს, რომ თემობრივ წეს-წყობილების დარღვევას მოითხოვდა საქართველოის მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობა. მაგრამ ამ პროცესის დაბოლოებას არ დასცალდა: მოისპო ჩვენი პოლიტიკური თვითარსებობა და საქართველო გადავიდა უფრო მძლავრ მთავრობის ხელში. რუსის მთავრობამ ბოლოს-და-ბოლოს, ასი წლის განმავლობაში, მოსპო მთიელთა თვითმმართველობა, მისი თავისუფლება. მთის აჯანყება 1804 წ. (იხ. ფრონელის წიგნი), ჩემის აზრით, სხვა მიზეზებთან ერთად, ამ გარემოებითაც აიხსნება: მთიელი ხედავდა, რომ ახალი მთავრობა, ღღეს თუ ხვალ, შელახავდა მის თემობრივ წეს-წყობილებას, მის წმინდათა წმინდას, თუმცა, ეს ზემოდაც ითქვა, მეტის სიფრთხილით მოქმედებდა ჩვენ მთაში და თავის განძრახვებს პირველ ნაბიჯიდანვე არ ახორციელებდა. მისი კანონი არსად სჩანდა. პირიქით საქართველოს ყოველი კუთხე საერთო კანონით და ადგილობრივ ჩვეულებით და ადათით ხელმძღვანელობდა, რაიც რუსის მთავრობამაც დაადასტურა. მაშასადამე, ვიმეორებ, რუსის კანონს იმ ხანებში არავითარი გავლენა არა ჰოქნდა მთიელის შინაურ ცხოვრებაზე, მით უმეტეს — ქორწინებაზე. აქედან აშკარაა, რომ მაყვალას დაბრუნება ქმრის ოჯახში რუსის კანონის გავლენით არ აიხსნება. ამიტომაცაა, რომ თემობამ გააქორწინა (სად იყო ეკლესია?) მაყვალას და გელას შეუღლება. აქედან მკითხველი დაასკვნის, რომ მეორე დამცველის ცდამაც უნაყოფოდ ჩაიარა: მაყვალა ვერ გაამართლა, თუმცა უდანაშაულოდ აღიარა იგი.

P. S. ნაფიცმა მსაჯულებმა ორ წამში გადასწყვიტეს მთელი მთის საქმე. ამათ ვერ დაინახეს ვერც საქმის სერიოზული შინაარსი, ვერც თავიანთი მეტად მძიმე მოვალეობა ხალხის წინაშე. ესენი მოიქცნენ, როგორც ლ. ნ. ტოლსტოის „Воскресенье“-ს სასამართლოის თავმჯდომარე, ხოლო რასაკვირველია, სულ სხვა საბუთით. ამათი ვალი იყო, თავიანთი მსჯელობა საჯაროდ მოეხდინათ. ხალხს უნდა გაეგო თავის წარმომადგენლების აზრი მაყვალას საქმეში; ხოლო ამ შემთხვევაში მათ მსჯელობას და გადაწყვეტილებას ექნებოდა აღმზრდელი მნიშვნელობა... ამის მაგიერ ნაფიცმა მსაჯულებმა „კეკა-მალულა“ ითამაშეს.

მთავრობის წარმომადგენელნი—მოსამართლენი? ესენი ხომ მუნჯნი ყოფილან!..

საინტერესო და საჭიროცაა ვინმემ აგვიხსნას, როგორ მოხდა მაყვალას გასამართლება მსაჯულთა შორის.

ალბანელი.

რედაქტორ-გამომცემელი: **პეტრე სურგულაძე.**

განყოფილება **„პროგრესის“** სტამბისა, სასახლის ქ., თავად-აზნაურობის სახლი